

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ი.გოცირიძე, მ.მუსხია

მეთოდური მითითებები

ლაბორატორიული სამუშაოებისათვის

“შესავალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში”

თბილისი

2011

ლაბორატორიული სამუშაო N1

პერსონალური კომპიუტერის სტრუქტურა; კომპიუტერის მუშაობის ძირითადი პრინციპები. პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის პრაქტიკული ჩვევების გამომუშავება.

კომპიუტერი არის მაწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ინფორმაციის მიღების, გადამუშავებისა და გადაცემისთვის.

ინფორმაცია სხვადასხვა სახისაა: ტექსტური, გრაფიკული, ნახატი, ფოტო. ეს ინფორმაცია კომპიუტერში წარმოდგენილია რიცხვების (კოდების) საშუალებით. ინფორმაციის დამუშავება კი ნიშნავს ამ რიცხვებზე მოქმედებას.

რიცხვები კომპიუტერში წარმოდგენილია კოდების საშუალებით, რისთვისაც გამოყენებულია თვლის სხვადასხვა სისტემები. მაგალითად, ათობით სისტემაში რიცხვი ჩაიწერება შემდეგი სახით: $357=3*102+5*101+7*1$. ორობით სისტემაში ნებისმიერი რიცხვი წარმოდგენილია 0 და 1-ით. ორობით სისტემაში რიცხვი 13 გადაიყვანება ამ რიცხვის 2-ზე (ფუძეზე) გაყოფით.

ისრით გადაიწერება ნაჩვენები მიმართულებით 1 1 0 1 და იკითხება 1 1 0 1 (ერთი, ერთი, ნული, ერთი).

ათობითი 2 3 4 5 6 7 8 9 10 11

ორობითი 10 11 100 101 110 111 1000 1001 1010 1011

კომპიუტერის მოწყობილობები ძირითადი მოწყობილობები:

სისტემური ბლოკი - კლავიატურა - მონიტორი

დამატებითი მოწყობილობა:

პრინტერი - სკანერი - პლოტერი - მოდემი - მაუსი - გრაფიკული პლატა - ხმოვანი პლატა თანამედროვე კომპიუტერების აგებულება მრავალფეროვანია. მაგრამ მათი სტრუქტურა დაფუძნებულია საერთო ლოგიკურ პრინციპებზე. შეგვიძლია ცალსახად გამოვყოთ კომპიუტერში არსებული ყველა დეტალი:

- მეხსიერება (დამამახსოვრებელი მოწყობილობა) - შედგება გადანომრილი სემენტებისგან;
- პროცესორი, მართვის მოწყობილობა და არითმეტიკულ-ლოგიკური მოწყობილობა;
- შეტანის მოწყობილობა;
- გამოტანის მოწყობილობა.

ეს მოწყობილობები დაკავშირებულია სადენებით, რომელთა გავლით ხდება ინფორმაციის გაგზავნა.

მეხსიერების ფუნქცია:

- ინფორმაციის მიღება სხვა მოწყობილობებიდან;
- ინფორმაციის დამახსოვრება;
- ინფორმაციის გატანა სხვა მოწყობილობების მოთხოვნით;
- პროცესორის ფუნქციება:
- არითმეტიკული და ლოგიკური მონაცემების დამუშავება;
- კომპიუტერში მომუშავე მოწყობილობების პროგრამული მართვა.

შიგა მეხსიერებათა ჯგუფში შედის:

- ოპერატიული მეხსიერება
- კემ მეხსიერება
- სპეციალური მეხსიერება
-

გარე მეხსიერებებია:

- ხისტი მაგნიტური დისკი
- ღრეკადი მაგნიტური დისკები
- კომპაქტდისკები (CD, CDrw, DVD, DVDrw)
- BLUE RAY
- USB (universal serial bus)
- SD
- მაგნიტურ ოპტიკური კომპაქტდისკები
- მაგნიტური ლენტი
- და სხვა

მონიტორი ანუ დისკლეი არის მოწყობილობა, რომლის ეკრანზეც ხდება ინფორმაციის ასახვა.

კლავიატურა არის კომპიუტერის ერთ-ერთი ძირითადი მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის შეყვანა მეხსიერებაში.

კლავიატურაზე ძირითადად გამოიყენება 104 კლავიში, მაგრამ სხვადასხვა კლავიატურაში ეს რიცხვი შეიძლება განსხვავებული იყოს. კლავიატურაზე კლავიშები განლაგებულია რამდენიმე ჯგუფად:

1. ტექსტის აკრეფის კლავიშები განლაგებულია კლავიატურის შუა ნაწილში და შეიცავს ინგლისური ანბანის ყველა ასოს, ციფრებს, სასვენ ნიშნებსა და სპეციალურ სიმბოლოებს..
2. რედაქტირების კლავიშები: **SHIFT** – ტექსტის აკრეფის კლავიშების გადაყვანა ქვედა რეგისტრიდან ზედაში, იხმარება კლავიშ + კომბინაციით.

CAPS ტექსტის შეყვანის კლავიშების გადართვა ნუსხურიდან მთავრულში ან პირიქით.

INS ტექსტის შეყვანის გადართვა:

INSERT ახალი სიმბოლოების ჩამატება (ჩადგმა) არსებულ სიმბოლოებს შორის –

OVER აკრეფილი სიმბოლოს გადაწერა რეჟიმი

del – იმ სიმბოლოს წაშლა, რომლის ქვეშაც იმყოფება კურსორი. ამ დროს მარჯვნივ მდგომი კურსორები ინაცვლებს მარცხნივ.

Back SPACE – იმ სიმბოლოს წაშლა რომლის მარცხნივაც იმყოფება კურსორი. ამ დროს ხდება კურსორისა და მის მარჯვნივ მდგომი სიმბოლოების გადაადგილება მარცხნივ.

Num Lock – ციფრული კლავიშების გადართვა ციფრების შეყვანის რეჟიმიდან კურსორის გადაადგილების კლავიშების რეჟიმში და პირიქით.

3. კურსორის გადაადგილების კლავიშები:

Up - ერთი სტრიქონით ზევით

Down - ერთი სტრიქონით ქვემოთ

Left - ერთი პოზიციით მარცხნივ

Right - ერთი პოზიციით მარჯვნივ

PgUp - ერთი ფურცლით ზემოთ

PgDn - ერთი ფურცლით ქვემოთ

Home - სტრიქონის პირველ პოზიციაში

End - სტრიქონის ბოლო პოზიციაში

4. მართვის კლავიშები

Enter - ბრძანების გაშვება და ტექსტურ რედაქტორში ახალი აბზაცის შექმნა.

Esc - როგორც წესი გამოიყენება არასასურველი ბრძანების მოსახსნელად ან რაიმე მუშაობის რეჟიმიდან გამოსასვლელად.

Ctrl - იხმარება სხვა კლავიშებთან ერთად, კლავიშ + კომბინაციით, როგორც წესი, დამატებითი ფუნქციებისათვის.

TAB - აბზაცის გამოყოფა ტექსტის აკრეფისას, ან ეკრანის ერთი პოზიციიდან მეორეში გადაყვანისას (სპეცპროგრამებში).

5. სპეციალური კლავიშები:

Alt - იხმარება სხვა კლავიშებთან ერთად, კლავიშ + კომბინაციით, სპეციფიკურ შემთხვევებში

Print Screen - ეკრანზე გამოსახული ინფორმაციის ბეჭდვა პრინტერზე


Pause – პროგრამის შესრულების დროებითი შეჩერება.

6. ფუნქციური კლავიშები

F1 - F12 – გამოიყენება სხვადასხვა დასრულებული ფუნქციური მოქმედებების შესასრულებლად.

კლავიშებზე თითის საწყისი მდგომარეობა

ასოები **ASDF JKL**: კლავიატურის ძირითადი რიგია, რადგანაც ის შეიცავს ასოებს, რომლებიც ხშირად გვხვდება ტექსტის აკრეფისას. თითები ამ კლავიატურის ასოებზე განლაგეთ, როგორც ეს მოცემულია (ნახ.1).



თავის გამოყენება

თავი, საშუალებას გვაძლევს კომპიუტერს კლავიატურასთან შედარებით უფრო სწრაფად და მოხერხებულად მივაწოდოთ ზოგიერთი ბრძანება.

თავის საშუალებით შეიძლება შესრულდეს შემდეგი მოქმედებები:

Click-თავის მარცხენა/მარჯვენა ღილაკზე ერთხელ დაწკაპუნება:

- დავაყენოთ/მივანიშნოთ თავის მაჩვენებელი საჭირო ობიექტზე, დავაჭიროთ თითი თავის მარცხენა/მარჯვენა ღილაკს და სწრაფად ავუშვათ.
- გამოიყენება ობიექტების მოსანიშნად, მენიუებთან მუშაობისას, დიალოგიურ ფანჯარაში პარამეტრების დაყენებისას და სხვა.

Double Click-თავის მარცხენა ღილაკზე დაწკაპუნება

- დავაყენოთ თავის მაჩვენებელი საჭირო ობიექტზე, ორჯერ დავაჭიროთ თითი თავის მარცხენა ღილაკს და სწრაფად ავუშვათ. სასურველია, პირველ და მეორე დაჭერას შორის იყოს მცირე ინტერვალი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედება შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც ორი ერთჯერადი დაწკაპუნება.
- გამოიყენება პროგრამების გაშვებისთვის, ფაილებისა და საქაღალდეების გახსნისთვის და ა.შ.

Drag - გადატანა/თანაწაღება

- დავაყენოთ თავის მაჩვენებელი საჭირო ობიექტზე, დავაჭიროთ თითი თავს და თითის აულებლად გადავადგილოთ სასურველი მიმართულებით. თავის მოძრაობისას იმოდრავებს ისარი და ისრით მითითებული ობიექტი, რომელიც საჭირო პოზიციაში თითის აშვებისთანავე ფიქსირდება.

ტექნიკური მოწყობილობების (Hardware) გარდა, კომპიუტერს ესაჭიროება სისტემური ანუ პროგრამული უზრუნველყოფა (Software).

ოპერაციული სისტემა პროგრამების ერთობლიობაა, რომელიც შუამავლის როლს ასრულებს მომხმარებელსა და კომპიუტერს შორის და მართავს კომპიუტერის ყველა მოწყობილობას. განასხვავებენ ორი ტიპის კომპიუტერულ პროგრამას: სისტემურს რომელიც არ არის დამოკიდებული მომხმარებლის კონკრეტულ ამოცანებზე და სამომხმარებლოს რომელიც ორიენტირებულია მომხმარებლის კონკრეტულ ამოცანებზე.

სისტემური პროგრამების ძირითად ნაწილს შეადგენს ე. წ. ოპერაციული სისტემების პროგრამები, რომლებიც ავტომატურად იტვირთება ოპერატიულ მეხსიერებაში კომპიუტერის ქსელში ჩართვისთანავე და ახორციელებს, ერთი მხრივ, ტექნიკური მოწყობილობების მუშაობის სრულ ადმინისტრირებას და, მეორე მხრივ მომხმარებლის ბრძანებების შესრულებას.

- ჩატვირთეთ ოპერაციული - ნიშნავს ოპერაციული სისტემის გადაწერას კომპიუტერის ოპერატიულ მეხსიერებაში.
- თუ კომპიუტერზე დარეგისტრირებულია მხოლოდ ერთი მომხმარებელი, სისტემა ავტომატურად იწყებს მუშაობას მოცემული მომხმარებლის გარემოსთან. მაგრამ თუ დარეგისტრირებულია რამდენიმე მომხმარებელი, სისტემა **Windows XP** გთავაზობთ მომხმარებლის გარემოს არჩევას. თუ გარემო დაცულია პაროლით, საჭირო გახდება პაროლის შეყვანა.
- **Windows** -თან მუშაობის დასრულების შემდეგ, უნდა დახუროთ ყველა გახსნილი ფაილი, საქალაქე თუ პროგრამა და შემდეგ შეასრულეთ კიდეც რამდენიმე მოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს **Windows** -ის ამოტვირთვას ოპერატიული მეხსიერებიდან.
- შეასრულეთ მუშაობის დამთავრების მხოლოდ ერთი ბრძანება: მიიყვანეთ მაუსის კურსორი ამოცანათა პანელის Start ღილაკთან და დააწკაპუნეთ მასზე. გაიშლება **Windows** -ის მთავარი მენიუ (ნახ.2).
- აირჩიეთ მენიუში ბრძანება Turn Off Computer ... და დააწკაპუნეთ მასზე. გამოდის დალოგის ფანჯარა.
- დააჭირეთ ღილაკს Turn Off და დაელოდეთ, სანამ მონიტორის ეკრანზე ჩანს წარწერა Windows is shutting down ..., რაც ნიშნავს, რომ ხდება Windows -ის ამოტვირთვა. მხოლოდ შემდეგ შეიძლება კომპიუტერის გამორთვა.
- ბრძანების გასაუქმებლად დააწკაპუნეთ Cancel საბრძანებო ღილაკზე დააწკაპუნეთ, ან კლავიატურის კლავიშზე Esc .
- ჩატვირთეთ ოპერაციული სისტემა თავიდან, ამისთვის: დააწკაპუნეთ ღილაკზე Restart.
- კომპიუტერის გადასაყვანად დასვენების რეჟიმში დააწკაპუნეთ ღილაკზე Stand By-ზე



ნახ.2


ლაბორატორიული სამუშაო N 2.

ფაილების ტიპები და მათი დახასიათება. ძირითადი, პროგრამის ან საქალაქის, სისტემური, კონტექსტური მენიუს ბრძანებები. სამუშაო მაგიდასთან და ფანჯრებთან მუშაობა; შეტყობინებებისა და შეკითხვების ფანჯრები (დიალოგური ფანჯრები).

- ჩატვირთეთ ოპერაციული სისტემა. მიიყვანეთ თავის მარჯვენა პიქტოგრამა My Computer-ზე, და თავის მარცხენა ღილაკზე ერთჯერ დააწკაპუნებით მონიშნეთ.
- თავის მარცხენა ღილაკის ორჯერ ზედიზედ დაწკაპუნებით გახსენით პიქტოგრამა My Computer, ისე რომ, მარჯვენა არ გადაადგილოთ.
- დახურეთ My Computer –ის ფანჯარა.
- პიქტოგრამა My Computer –ის ბრძანებების ჩამონათვალის კონტექსტური მენიუ გასახსნელად, დააყენეთ მარჯვენა პიქტოგრამის ნახატზე და დააწკაპუნეთ მარჯვენა კლავიშზე ერთხელ, ისე რომ მარჯვენა არ გადაადგილდეს, დაათვალიერეთ მისი კონტექსტური მენიუ (ნახ.1). თავის მარცხენა ღილაკი დააწკაპუნეთ ცარიელ ადგილას.
- დააყენეთ თავის მარჯვენა პიქტოგრამის სამუშაო მაგიდის ნებისმიერ ცარიელ ადგილზე და ერთხელ დააწკაპუნეთ თავის მარჯვენა ღილაკს. ეკრანზე გამოჩნდება კონტექსტური მენიუ. იგი გამოიტანება ნებისმიერ ფანჯარაში ცარიელ ადგილზე. თავის მარჯვენა პიქტოგრამის დაყენებით და მარჯვენა ღილაკზე ერთხელ დააწკაპუნებით.
- დააყენეთ თავის მარჯვენა პიქტოგრამა My Documents –ზე და თავის მარცხენა ღილაკზე დაჭერით გადაიტანეთ ის სამუშაო მაგიდის სხვა ადგილას
- რამდენიმე პიქტოგრამის ერთდროულად მოსანიშნად, საჭიროა მარჯვენა დააყენოთ ამ ჯგუფის პირველ პიქტოგრამაზე და დააწკაპუნოთ მარცხენა კლავიშზე ერთხელ, შემდეგ თავის მარჯვენა გადაატაროთ მოსანიშნ ჯგუფს (ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად).
- მონიშნული პიქტოგრამათა ჯგუფი გადაიტანეთ სამუშაო მაგიდის სხვა ადგილას. მაუსის მარცხენა ღილაკს დააჭირეთ და თითის აუღებლად მაუსის კურსორი გადაადგილეთ საჭირო ადგილას. შემდეგ თითი აუშვით მაუსის ღილაკს და მოხსენით მონიშვნა.



ნახ.10



ნახ.2

ზოგჯერ პიქტოგრამის ან პიქტოგრამათა ჯგუფის გადატანა ვერ ხერხდება. ეს მაშინ ხდება, როდესაც Desktop-ზე გააქტიურებულია პიქტოგრამების ავტომატური განლაგების რეჟიმი (Auto Arrange).

- პიქტოგრამების ავტომატური განლაგების რეჟიმი (Auto Arrange) შესაცვლელად საჭიროა მივიყვანოთ თავის კურსორი სამუშაო მაგიდის თავისუფალ ადგილას და დააჭირეთ თავის მარჯვენა ღილაკს. Desktop-ზე გაიხსნება კონტექსტური მენიუ (ნახ. 2). Arrange Icon By - მოვაწესრიგოთ პიქტოგრამები.
- გადადით მის ქვემენიუში ნიშნით. ბრძანება Auto Arrange მოხსენით "ჩიტი" -. "(Check mark).
- აირჩიეთ ჩამონათვალიდან საჭირო ბრძანება და ერთ-ერთ მათგანზე დააწკაპუნეთ მარცხენა კლავიშზე ერთჯერ, მაშინ საქალაქდში იარლიყები დალაგდება არჩეული ვარიანტის შესაბამისად (ნახ.2).

- განიხილეთ სხვადასხვა პიქტოგრამის კონტექსტური მენიუები. მაგალითად, მიიყვანეთ თავის კურსორი My Documents პიქტოგრამასთან და დააჭირეთ თავის მარჯვენა კლავიშს. გამოდის ამ ობიექტის კონტექსტური მენიუ (Shortcut menu) (ნახ. 3).



ნახ.3

- ამოარჩიეთ მენიუს სტრიქონი Shortcut Greate. შეიქმნება Shortcut to My Documents.
- პიქტოგრამის Desktop-დან წასაშლელად, მონიშნეთ პიქტოგრამა და დააჭირეთ კლავიატურაზე ღილაკს Delete ან თავის მარჯვენა კლავიშის დაწკაპუნებით გამოდის ამ ობიექტის კონტექსტური მენიუ მასში გაერთიანებულია ის ბრძანებები, რომლებიც შეესაბამება მოცემულ ობიექტს. მაგალითად, ამოჭრა (Cut), კოპირება (Copy), ჩასმა (Paste), წაშლა (Delete), თვისებები (Properties) და სხვა.


- არსებობს კიდევ ერთი სახის პიქტოგრამა - იარლიყი. იარლიყის ნახატის მარცხენა ქვედა კუთხეში მოთავსებულია ისარი (ნახ.4) -, . იარლიყი - .lnk გაფართოების ფაილია, რომელშიც წერია მისი შესაბამისი ობიექტის სახელი და მისამართი და რომლის დანიშნულებაც მიმართოს Windows-ის ამა თუ იმ ობიექტს.



ნახ.4

სხვადასხვა სახის ინფორმაცია კომპიუტერში ჩაწერილია ფაილების სახით. ფაილს აქვს კონკრეტული სახელი და ზომა. ფაილის სახელი ორი ნაწილისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია წერტილით. ფაილის სახელის შაბლონია *.* წერტილის მარცხნივ იწერება ფაილის სახელი, წერტილის მარჯვნივ კი სახელის გაფართოება.


- ჩაწერეთ ფაილის განთავსების ადგილი ხეზე. ამისათვის (ნახ. 5)



ნახ.5

C:\ Net \ ANA \ foto . gif C:\ Net \ DATA \ F1.doc
C:\ Net \ T AMO \ F7.txt C:\ Net \ X ATO \ F5.exe


ფაილის მისამართი იწყება დისკოს სახელით, ჩვენ შემთხვევაში C:\ შემდეგ მოავარი დირექტორია Net, ქვედირექტორია DATA და ფაილის სახელი F1.doc ან, სხვანაირად, ვინჩესტერი საწყობია რკინის კარადებით. C:\ საწყობის ოთახის სახელია, Net – რკინის კარადის, ANA ან DATA ამ კარადაში არსებული თაროების სახელები და foto. gif ან F1. doc და ა. შ. უკვე საბუთები ანუ ფაილებია.



ნახ.6


- თავის მარცხენა ღილაკი ორჯერ დაწკაპუნეთ My Computer-ის პიქტოგრამაზე. ეკრანზე გამოჩნდება My Computer-ის ფანჯრის გამოსახულება (ნახ. 6).
- მინიმიზირების ღილაკზე თავის დაწკაპუნებით, ჩაკეცეთ ფანჯარა (დახვევა), ანუ ჩამოაგდეთ ამოცანების პანელზე (ნახ.6).
- მაქსიმალისაციის ღილაკზე თავის დაწკაპუნებით გაშალეთ ფანჯარა მთელ ეკრანზე.
- დახურვის ღილაკზე თავის დაწკაპუნებით დახურეთ ფანჯარა (ნახ. 6)
- სათაურის ზოლზე თავის ორჯერადი დაწკაპუნებით გაშალეთ ფანჯარა მთელ ეკრანზე. როცა სათაურის ზოლზე, გაიმეორებთ ორჯერად დაწკაპუნებას ფანჯარა მიიღებს თავდაპირველ სახეს (ნახ.6).
- ფანჯრის ვერტიკალური ზომის შესაცვლელად მიყვანეთ თავის მაჩვენებელი ფანჯრის ქვედა (ზედა) ჩარჩოსთან. თავის ფორმა შეიცვლება და მიიღებს ორმხრივი ისრის სახეს . დააჭირეთ თავის მარცხენა ღილაკს და თითის აულებლად გადაადგილეთ თავის მაჩვენებელი ჯერ ქვევით (ფანჯრის ვერტიკალური ზომა გაიზრდება), შემდეგ კი ზევით (ვერტიკალური ზომა შემცირდება). როდესაც ფანჯრის ზომა დაგაკმაყოფილებთ ღილაკს აუშვით თითი.
- ჰორიზონტალური ზომის შეცვლა შემდეგი მოქმედებების ჩატარებით შეიძლება: მიყვანეთ თავის მაჩვენებელი ფანჯრის მარჯვენა (მარცხენა) ჩარჩოსთან. თავი მიიღებს ორმხრივი ისრის სახეს. ჩავლეთ თავის მარჯვენა (მარცხენა) კიდეს და გადაადგილეთ კურსორი ჯერ მარჯვნივ (ფანჯრის ჰორიზონტალური ზომა გაიზრდება), შემდეგ კი მარცხნივ (ჰორიზონტალური ზომა შემცირდება). როდესაც ფანჯრის ზომა მოგეწონებათ აუშვით თითი ღილაკს.
- ერთდროულად ფანჯრის, როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური ზომის შესაცვლელად, მიყვანეთ თავის მაჩვენებელი ფანჯრის რომელიმე კუთხეში, ვთქვათ, ქვედა მარჯვენა კუთხეში. თავი მიიღებს ისრის სახეს. შემდეგ დააჭირეთ თავის მარცხენა ღილაკს და თითი აულებლად გადაადგილეთ კურსორი კუთხით (ქვევით და მარჯვნივ ერთდროულად). სასურველი ზომის მიღებისას, აუშვით თითი თავის ღილაკს.
- სამუშაო მაგიდაზე ფანჯრის გადასადგილებლად (ზომების შეუცვლელად) მიყვანეთ თავის კურსორი ფანჯრის სათაურთან, დააჭირეთ მის მარცხენა ღილაკს და თითის აულებლად კურსორი გადაიტანეთ ახალ ადგილას, შემდეგ კი თითი აუშვით ღილაკს.

განვიხილოთ My Computer-ის მენიუს ზოლი, ის შეიცავს შესაბამისი პროგრამის ყველა ბრძანებას, ანუ ყველა იმ მოქმედებას, რომელთა შესრულება შეუძლია პროგრამას. My Computer-ის მენიუს ზოლი გამოიყურება (ნახ.7).




ნახ.7

მენიუს თითოეულ პუნქტში გაერთიანებულია ამ პუნქტის შესაბამისი ბრძანებები. მენიუს ქვემოთ მოთავსებულია ინსტრუმენტების პანელი (ნახ.8).



ნახ.8

- იმისათვის რომ გავხსნათ მენიუ, მაგალითად, View, უნდა დააწკაპუნოთ მასზე (ნახ. 9). აგრეთვე, მენიუს პუნქტის გასააქტიურებლად კლავიატურაზე დააჭირეთ ღილაკი F10 (ასე გადავალთ მენიუს ზოლში), კლავიატურის მარჯვენა და მარცხენა ისრების დახმარებით მიდით მენიუს საჭირო პუნქტთან და დააჭირეთ ქვედა ისარს.
- მენიუში სწრაფი მისვლის კიდევ ერთი ხერხი: კლავიშების კომბინაცია Alt+ შესაბამისი ღილაკი, ანუ იმ ასოს შესაბამისი ღილაკი, რომელიც ხაზგასმულია მენიუს დასახელებაში.



ნახ.9

მენიუს შეიძლება ჰქონდეს ქვემენიუ. მაგალითად, მენიუ View –ს, პუნქტი Toolbars შეიცავს ქვემენიუს (ამის მაჩვენებელია სიმბოლო ☰ მენიუს პუნქტში). ქვემენიუში გადასვლა ხდება თავის მოძრაობით თავის პუნქტის გასწვრივ. თუ მენიუს პუნქტი მთავრდება სამი წერტილით ... , მაშინ მენიუს ბრძანების შესრულების შემდეგ გამოიძახება ე.წ. დიალოგური ფანჯარა.

- ინსტრუმენტების პანელში Home ღილაკის დასამატებლად, გადადით View მენიუს Toolbars ქვემენიუს, პუნქტ Customize... და დააწკაპუნეთ თავის მარცხენა ღილაკს. შედეგად გამოდის დიალოგური ფანჯარა Customize Toolbar, რომელიც გაძლევთ საშუალებას დაამატოთ სხვადასხვა ღილაკები ფანჯრის ინსტრუმენტების პანელზე (ნახ.10).

დიალოგური ფანჯრის ველში Available toolbar buttons აირჩიეთ სტრიქონი Home, დააჭირეთ ღილაკს Add-> და შემდეგ ღილაკს Close, ფანჯრის ინსტრუმენტების პანელზე გაჩნდება შესაბამისი ღილაკი .



ნახ.10

Windows-ში შესაძლებელია რამდენიმე ამოცანის (პროგრამის, ფაილის თუ საქალაქის) ერთდროულად გაშვება. ამას მრავალამოცანიანი რეჟიმი ეწოდება. შესაბამისი რეჟიმების დაყენება ხორციელდება "ამოცანების პანელი" (Taskbar) კონტექსტური მენიუდან (ნახ.11).



ნახ.11

- გახსენით **My Documents, My Computer, Recycle Bin** ფანჯრები . კასკადურად (Cascade Windows), ფანჯრების განთავსებისათვის, ამოცანათა პანელზე თავის მარჯვენა ღილაკზე დაწკაპუნებით გამოიტანეთ კონტექსტური მენიუ და დააყენეთ შესაბამის რეჟიმზე Cascade Windows .
- ზუსტად ასევე განლაგეთ ზემოდან ქვევით (The Windows Horizontally) ან მარცხნიდან მარჯვნივ (The Windows Vertically) (ნახ.12).

ფანჯრებს შორის გადართვის, ანუ სასურველი ფანჯრის გააქტიურების რამდენიმე ხერხი არსებობს:

- ჩაკეცეთ ფანჯრები **My Documents, My Computer, Recycle Bin** . სასურველი ფანჯრის გასაქტიურებლად, Taskbar-ზე სასურველი ფანჯრის ღილაკზე დააწკაპუნეთ თავის მარცხენა ღილაკი.
- კლავიატურის ღილაკების Alt+Tab კომბინაციით: დააჭირეთ ღილაკს Alt და თითის აუღებლად, Tab ღილაკზე დაჭერით რიგრიგობით გადადით ყველა გახსნილ ფანჯარაზე. საჭირო ფანჯრის არჩევის შემდეგ კი ერთდროულად ხელი უნდა აუშვათ ორივე ღილაკს.
- თავის მარცხენა კურსორი დააწკაპუნეთ სასურველი ფანჯრის ნებისმიერ ადგილას. ფანჯრების კასკადური განლაგების შემთხვევაში კი - საჭირო ფანჯრის სათაურის ზოლზე თავის მარცხენა კურსორი დააწკაპუნოთ. ამის შემდეგ აქტიური ფანჯარა გამოდის წინა პლანზე. მისი სათაურის ზოლი სხვა ფანჯრების სათაურების ზოლებთან შედარებისას უფრო მუქი ხდება.



ნახ.12

განვიხილოთ დიალოგური ფანჯარა. ეს Windows-ის ისეთი ფანჯარაა, რომელშიც პროგრამისთვის საჭირო პარამეტრების მიწოდება ხდება.

- მაგალითად, **My Documents** გამოაჩინეთ სამისამართო სტრიქონში არა მხოლოდ გახსნილი საქალაქის დასახელება, არამედ ამ საქალაქდემდე სრული გზის ჩანაწერი. ამისათვის გახსენით **My Documents**. მის ფანჯარაში გაავაქტიუროთ მენიუ Tools პუნქტი Folder Options...
- მონიშნეთ პარამეტრი Display the full path in the address bar (ნახ.13).
- დააჭირეთ ღილაკს Apply, ხოლო შემდეგ OK-ს, ფანჯარა დაიხურება, ჩვენი დაყენებული თვისება კი ამოქმედდება.




ნახ.13

შევნიშნოთ, რომ OK ღილაკზე დაჭერის ანალოგიურია კლავიატურის Enter კლავიშზე დაჭერა. Windows-ს გააჩნია აგრეთვე გამაფრთხილებელი და საინფორმაციო ფანჯრები (ნახ.14),(ნახ.15).




ნახ.14 საინფორმაციო ფანჯარა




ნახ.15 გამაფრთხილებელი ფანჯარა


- გახსენით ფანჯარა My Documents და გააქტიურეთ მენიუს პუნქტი View. ამოირჩიეთ ბრძანება Tiles , რომელიც გამოაჩენს ფანჯრის ობიექტებს დიდი პიქტოგრამების სახით (ნახ.16).
- ანალოგიურად ამოარჩიეთ ბრძანება Icons - პატარა პიქტოგრამების სახით. ბრძანება List- ჩამონათვალის სახით.
- ხოლო სიმბოლოთი მონიშნული ბრძანება Details გამოაჩენს ერთ სვეტად ჩამოწერილ პიქტოგრამებს, რომელთაც მიწერილი აქვთ დეტალები: ზომა – მესხიერებაში დაკავებული ადგილის მოცულობა, ტიპი - საქაღალდეა თუ ფაილი, შექმნის ან ბოლო მოდიფიკაციის თარიღი და დრო.
- ბრძანება Thumbnails, გრაფიკული ფაილების შიგთავსი ჩნდება ზედ პიქტოგრამაზე.
- იგივე ბრძანებები შეასრულეთ ინსტრუმენტების პანელის სპეციალური ღილაკის გამოყენებით (ნახ.16).
- დახურეთ ფანჯარა
- ახალი საქაღალდის შესაქმნელად გახსენით ფანჯარა My Documents. თავისუფალ ადგილას თავის მარჯვენა ღილაკზე დაწკაპუნებით გამოიძახეთ ფანჯრის კონტექსტური მენიუ და გადადით მის ბრძანებაზე New. New-ს გააჩნია ქვემენიუ. გადადით ამ ქვემენიუს პირველივე ბრძანებაზე Folder (ნახ.17).
- ფანჯარაში გაჩნდება საქაღალდის შესაბამისი პიქტოგრამა, რომლის New Folder დასახელებას Windows-ი ვეტავაზობს. ამავე მომენტში, სანამ ტექსტი "New Folder" მონიშნულია, შეცვალეთ დასახელება კლავიატურიდან. მაგალითად, თქვენი გვარი.
- შექმენით საქაღალდე სხვა გზით: ფანჯრის მენიუ File-ში შეასრულეთ ბრძანება New/Folder (ნახ.18).
- შექმენით ახალი ფაილი: გახსენით ფანჯარა My Documents. ფანჯრის კონტექსტური მენიუდან, ამოირჩიეთ ბრძანებება მაგალითად, New/New Microsoft Word Document ან New/Bitmap Image შესრულებით. პირველ შემთხვევაში შეიქმნება ტექსტური ფაილი, მეორეში - ნახატი.
- ფანჯრის File მენიუდან, ბრძანებით File/New/ Text Document შეიქმნება მარტივი ტექსტური ფაილი, ხოლო ბრძანებით File/New/ New Microsoft PowerPoint Presentation შეიქმნება პრეზენტაციის ფაილი. დახურეთ ფანჯარა (ნახ.19) ,(ნახ.20).




ნახ.16




ნახ.17



ნახ.18



ნახ.19




ნახ.20

იარლიყის შექმნის რამდენიმე გზა არსებობს:

- მაგალითად, My Documents ბრძანება File/New/ Shortcut.
- დანიშნულების ფანჯრის კონტექსტური მენიუს ბრძანებით New/ Shortcut
- ბოლო ორ შემთხვევაში გამოდის დიალოგური ფანჯარა Create Shortcut. (ნახ21)

თუ მისამართი ზუსტად არ იცით, შეგიძლიათ ისარგებლოთ დილაკ Browse.... ეკრანზე გამოვა დიალოგური ფანჯარა Browse For Folder (ნახ.22).



ნახ.21



ნახ.22

- ამოარჩით თქვენთვის საჭირო ობიექტი მაგალითად, Adobe Reader და დააჭირეთ OK დილაკს. დააჭირეთ Next დილაკს. შემდეგ Finish დილაკს.
- მთავარ ან სასტარტო მენიუში შესასვლელად, დააწკაპუნეთ ამოცანების პანელზე მოთავსებულ Start დილაკს. იგივე მოქმედება აქვს კლავიშების კომბინაციას Ctrl+Esc



ნახ.23

Windows-ის ობიექტების გადატანის, კოპირებისა და წაშლისთვის Move To, Copy To და Delete ინსტრუმენტები პანელზე გაერთიანებულია ერთ ჯგუფში (ნახ.23). ან მენიუთა სტრიქონში მენიუში Edit.

- გახსენით საქაღალდე My Computer , მონიშნეთ საქაღალდე My Music. დააჭირეთ ინსტრუმენტების პანელზე დილაკს (Move To) (ნახ.23), გამოტანილ Move Items დიალოგურ ფანჯარაში (ნახ.24), აირჩიეთ დანიშნულების საქაღალდე, მაგალითად, My C:\Documents and Settings\marina\My Documents\student , შემდეგ კი დააჭირეთ დილაკს Move.



ნახ.24

- თუ გადატანა გადაიფიქრეთ, უნდა დააჭიროთ დილაკს Cancel.
- თუ გადასატანი ობიექტი გინდათ მოვითავსოთ ახალ ჯერ არ არსებულ დირექტორიაში, დააჭირეთ Make New Folder დილაკს (ნახ.23).
- ობიექტის გადატანა შეიძლება მოახდინოთ მენიუს საშუალებით. ამისათვის უნდა გახსნათ ორი ფანჯარა - იმ საქაღალდისა, სადაც არის გადასატანი ობიექტი და დანიშნულების საქაღალდისა.
- მონიშნეთ გადასატანი ობიექტი, შედით მისი ფანჯარის Edit მენიუში და შეასრულეთ ბრძანება Cut (ამოჭრა), შემდეგ კი - გადადით დანიშნულების ფანჯარაში Edit მენიუ ბრძანება Paste (ჩასმა).
- ამოჭრის, კოპირების, ჩასმის, ბრძანებას ასრულებს აგრეთვე კლავიშების კომბინაცია Ctrl+X, Ctrl+C, ხოლო ჩასმისას - Ctrl+V.
- აგრეთვე ამ ბრძანების შესრულება შეიძლება კონტექსტური მენიუდან. შეგვიძლია გამოიყენოთ თავგიც.
- მონიშნეთ დანიშნულების საქაღალდე, ჩაავლეთ მონიშნულ ობიექტს თავგის მარჯვენა დილაკი, გადაიტანეთ იგი დანიშნულების საქაღალდის ფანჯარაში.
- თუ კი საჭიროა გადატანა (დისკეტაზე ან ფლეშზე ისე ჩაწერა, რომ დისკზე ობიექტი არ დარჩეს), უნდა მონიშნოთ ობიექტი, დააჭირეთ კლავიშს Shift და ისე გადაიტანეთ იგი დისკეტაზე (ფლეშზე).
- დისკეტაზე (ფლეშზე) კოპირება შეასრულეთ სხვა გზით: მონიშნეთ ობიექტი, შედით ფანჯრის File მენიუში, ან ობიექტის კონტექსტურ მენიუში და შეასრულეთ Send To

ბრძანების ქვეპუნქტი - დისკეტაზე კოპირებისათვის ან Send To ბრძანების ქვეპუნქტი Removable Disk - ფლეშზე კოპირებისათვის.

ფაილებისა და საქაღალდეების წასაშლელად შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ხერხი.

- თუ ობიექტი განთავსებულია Desktop-ზე შეიძლება ისარგებლოთ ობიექტის კონტექსტური მენიუს ბრძანებით Delete; კლავიატურაზე Delete კლავიშზე დაჭერით; კლავიშების კომბინაცია Ctrl + D;
- ჩაავლეთ თქვენ მიერ შექმნილ საქაღალდის პიქტოგრამას თავი, მიიტანეთ სანაგვე ყუთის - Recycle Bin -ის პიქტოგრამაზე და გაუშვით ხელი.
- თუ წასაშლელი ობიექტი განთავსებულია სხვა საქაღალდეში ზემოთ ჩამოთვლილი ხერხების გარდა შეიძლება: ისარგებლოთ ბრძანებით File/ Delete; გამოვიყენოთ ფანჯრის ინსტრუმენტების პანელზე ღილაკი .
- ობიექტის აღდგენისათვის, გახსენით პიქტოგრამა Recycle Bin (რომელიც მოთავსებულია მაგიდაზე), მოვნიშნოთ აღსადგენი ობიექტი, და შეასრულოთ ბრძანება File/Restore ან ობიექტის კონტექსტური მენიუს ბრძანება Restore.
- თუ გინდათ აღსადგენი ობიექტის მოთავსება სხვა საქაღალდეში, უნდა ისარგებლოთ ობიექტის კონტექსტური მენიუს ბრძანებით Cut და შემდეგ ჩავსვათ ობიექტი დანიშნულების საქაღალდეში.
- სანაგვე ყუთის გასასუფთავებლად უნდა შეასრულოთ ბრძანება File/Empty Recycle Bin ან სანაგვე ყუთის კონტექსტური მენიუს ბრძანება Empty Recycle Bin. სანაგვე ყუთის პარამეტრების (თვისებების) დაყენება.
- Recycle Bin-ის კონტექსტურ მენიუში აირჩიეთ პუნქტი Properties. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Recycle Bin Properties. ფანჯარაში აქტიურია ჩანართი (ყუა) Global (ნახ.25).
- თუ ჩართულია რეჟიმი Do not move files to the Recycle Bin. Remove files immediately when deleted, წასაშლელი ფაილები აღარ მოთავსდება სანაგვე ყუთში, ანუ საბოლოოდ წაიშლება დისკიდან. თუ ეს რეჟიმი არ არის გააქტიურებული, მაშინ Maximum size of Recycle Bin (percent of each drive) მცოცავის გადატანით შეგვიძლია სანაგვე ყუთის ზომის რეგულირება (რეკომენდებულია დისკის 10%). ჩართული Display delete confirmation dialog რეჟიმი უზრუნველყოფს გამაფრთხილებელი ფანჯრის გამოტანას სანაგვე ყუთში ადრე მოთავსებული ობიექტების წაშლის შესახებ იმ დროს, როდესაც სანაგვე ყუთი გადავსებულია, ჩვენ კი ვცდილობთ მოვათავსოთ მასში ახალი ობიექტი (ვასრულებთ წაშლის ოპერაციას). მსგავს შემთხვევაში ძველი ობიექტები გამოიღვენება ყუთიდან და საბოლოოდ იკარგება.



ნახ.25

ლაბორატორიული სამუშაო №3

ინტერნეტი; ინტერნეტთან ურთიერთობის ელემენტები. სამისამართო სტრიქონი, საიტი (ვებგვერდი). ინფორმაციის გადაცემა და მოძიება. საძიებო ზოლი, ძიება საკვანძო სიტყვებით, ინდექსებით და კლასიფიკატორით. პოპულარული საძიებო სისტემები. ელექტრონული ფოსტით სარგებლობა (წერილის და მიმავრებული ფაილის გაგზავნა).

- გაუშვით სასტარტო მენიუდან ბრძანებით: Start / Programs / Internet Explorer, ან სამუშაო მაგიდიდან - პიქტოგრამაზე დაწკაპუნებით.

პროგრამა Internet Explorer –ის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია დაათვალიეროს, მოიძიოს და გადმოწეროს მისთვის სასურველი ინფორმაცია.



ნახ.1

- მოძებნეთ და გადმოწერეთ სურათი „ტომოგრაფი“. ამისათვის Internet Explorer –ის მისამართების ველში აკრიფეთ რომელიმე საძიებო სისტემის, მაგალითად, სისტემა www.google.ge -ის მისამართს და გააქტიურეთ სურათების ჩანართი (ნახ.1).
- ძიების ველში მიუთითებთ “გასაღებ სიტყვას ან ფრაზას” შემთხვევისთვის „ტომოგრაფი“
- დააჭირეთ Enter კლავიშს. გამოჩნდება შესაბამისი სურათები.
- სურათზე დაწკაპუნებით გაზარდეთ სურათის ზომა.
- მოძიებული სურათის გადმოსაწერად დააჭირეთ მასზე მაუსის მარჯვენა ღილაკით და ჩამონათვალში ვუთითებთ ბრძანებას Save As imege და შეინახავთ სურათს თქვენთვის სასურველ მისამართზე.
- თუ გსურთ სურათის კოპირება მაშინ, დააჭირეთ სურათზე მაუსის მარჯვენა ღილაკი და მიუთითეთ ბრძანება Copy imege,
- შემდგომ გადადით კომპიუტერის მეხსიერების სასურველ მისამართზე და მაუსის მარჯვენა ღილაკზე დაჭერით გამოსულ ფანჯარაში მიუთითეთ ბრძანებას Paste.
- ტექსტის მოსანახად www.google.ge -ის მისამართზე მიუთითეთ სასურველი ინფორმაციის “გასაღები სიტყვა”. მაგალითად, „საქართველოს უნივერსიტეტები“
- სასურველი ინფორმაციის გამოჩენის შემდეგ თუ საჭირო იქნა ტექსტური ინფორმაციის გადმოწერა მონიშნეთ სასურველი ტექსტი, მოახდინეთ მისი კოპირება, რომელიმე ტექსტურ რედაქტორში (Copy-Paste).
- გვერდის შესანახად შეასრულეთ ბრძანება File /SaveAs
- Internet Explorer სტანდარტული ინსტრუმენტების პანელზე ბრძანების რამდენიმე ღილაკის დასამატებლად საჭიროა საინსტრუმენტო პანელის კონტექსტური მენიუს Customize Command Bar ქვემენიუდან Add or Remove Comands... შესრულება.



ნახ.2

შედეგად ეკრანზე გამოვა Customize Toolbar დიალოგური ფანჯარა, Add და Remove ღილაკების საშუალებით დაამატეთ ან წაშალეთ ინსტრუმენტების პანელზე ღილაკები (ნახ.2).

- დიალოგური ფანჯრის მარჯვენა ნაწილში მოთავსებული ღილაკების Move Up და Move Down ღილაკების საშუალებით შეცვალეთ ღილაკების მიმდევრობა.
- აღადგინეთ ღილაკების სტანდარტული კომბინაცია Reset ბრძანების საშუალებით.
- Stop ღილაკზე დაწკაპუნებით შეწყვიტეთ ვებგვერდის გამოძახების პროცესი ან View / Stop ბრძანებით ან კლავიატურიდან - Esc კლავიშით.
- Refresh ღილაკის საშუალებით განახლეთ Internet Explorer-ის ფანჯრის
- შიგთავსი. აგრეთვე მენიუდან View / Refresh ბრძანებით, ან კლავიატურიდან - F5 კლავიშით, ან კლავიშთა კომბინაციით Ctrl+R.

- Internet Explorer ფანჯარაში გამოიძახეთ ახალი გვერდი მენიუდან - File / New Tab ან დაამატეთ Web გვერდის გვერდი კლავიშების კომბინაციით Ctrl + T ბრძანებით.
- ახალი გვერდის სამისამართო სტრიქონში აკრიფეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის Web მისამართი www.gtu.ge (ნახ.3).



ნახ.3

მთავარ გვერდზე განთავსებულია “სიახლეები და მოვლენები”-ის ამსახველი “ ლინკები. ასევე სხვა სასარგებლო ლინკები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი თემატური დასახელებები და რომელთა მეშვეობით გახვალთ ჩვენთვის სასარგებლო ბმულებზე.. სასწავლო პროცესში გამოყენებული სახელმძღვანელოების და სხვადასხვა სასარგებლო პროგრამების საინსტალაციო პაკეტების გადმოწერა შესაძლებელია მთავარ გვერდზე ელექტრონული რესურსები ლინკზე დაჭერისას გამოსულ ფანჯარაში.

- ამოირჩიეთ ლინკი „ფაკულტეტები“ და დეპარტამენტები“, ჩამონათვალში აირჩიეთ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი. აკრიფეთ მისამართი <http://biomedeng.gtu.ge/> (ნახ.4).




ან

ამ გვერდზე შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. ინფორმაცია პროფესორ-მასწავლებლებზე, მათ მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებზე, შრომებზე და მონოგრაფიებზე. ინფორმაცია სტუდენტებისთვის – შორის სასწავლო ცხრილები, აქტუალური განცხადებები და ა.შ.

ნახ.4

მათ

- ვებგვერდის www.gtu.ge სასტარტოდ გადასაქცევად საჭიროა:
- Internet Explorer იკონაზე თავის მარჯვენა ღილაკის დაწკაპუნებით კონტექსტური მენიუდან გამოვიძახოთ Properties. გაიხსნება დიალოგის ფანჯარა Internet Properties (ნახ.5). General ჩანართის Home Page
- განყოფილების Address ტექსტურ ველში კლავიატურიდან აკრიფეთ სასტარტო ვებგვერდის ინტერნეტ-მისამართი. Home Page



ნახ.5

განყოფილების ღილაკებს შემდეგი ფუნქცია აქვს.

- Use Current - ამ ღილაკზე დაწკაპუნებით Address ტექსტურ ველში აქტიური ვებგვერდის მისამართი ჩაჯდება.

- Use Default - ამ ღილაკით, ჩვეულებრივ, საწყის გვერდად შეირჩევა Microsoft ფირმის გვერდი;
- Use Blank - საწყის გვერდად შეირჩევა ცარიელი ფურცელი. დააწკაპუნოთ OK ღილაკზე.

სასტარტო ვებგვერდის დაყენება უფრო მარტივად შეიძლება:

- გამოიძახეთ საჭირო გვერდი Internet Explorer-ის ფანჯარაში, ჩაავლეთ მაუსი სამისამართო სტრიქონში მისამართის წინ მოთავსებულ ნიშანს და გადაიტანეთ ინსტრუმენტების პანელზე მოთავსებულ Home ღილაკზე.
- გამოაჩინეთ ყველა გვერდი ერთ ეკრანზე, ამისათვის ჩართეთ სპეციალური ღილაკი - Quick Tabs, რომელიც მოთავსებულია ეკრანზე გახსნილი ვებგვერდის სათაურის მარჯვნივ.
- სამისამართო ზოლში აკრიფეთ www.google.ge – სამიებული საიტი. ენების გადამრთველი დააყენეთ ქართულზე და ძებნაში ჩაწერეთ სიტყვა „კომპიუტერული მაღაზიები“ დააწკაპუნეთ ძებნას.
- მონახული ვებგვერდის მისამართი შეინახეთ რჩეულებში. ამისათვის ვებგვერდის მენიუმში აირჩიეთ მენიუ Favorites , პუნქტი Add to Favorites (ნახ.6).



ნახ.6




ნახ.7

- გამოსულ დალოგის ფანჯარაში Add to Favorites დააწკაპუნეთ ღილაკს Add, ან შექმენით ახალი საქალაღდე New Folder , დაარქვით თქვენი სახელი და დააწკაპუნეთ ღილაკ Add (ნახ.7).
- Internet Explorer ფანჯარაში გამოიძახეთ ახალი გვერდი Ctrl + T. გახსენით ახალ გვერდზე გამოიძახეთ რჩეული ვებგვერდი. ამისათვის გამოიძახეთ ბრძანება მენიუდან Favorites და პუნქტებიდან აირჩიეთ შენახული გვერდი „ კომპიუტერული მაღაზია”
- Favorites მენიუმში დაფიქსირებული ვებგვერდების საქალაღდეებში გადასანაწილებლად საჭიროა შემდეგი მოქმედებების შესრულება:
- შეასრულეთ მენიუს ბრძანება Favorites / Organize Favorites... ან კლავიატურაზე


აკრიფეთ Ctrl+B. ეკრანზე გამოჩნდება Organize Favorites დიალოგური ფანჯარა (ნახ.8).



ნახ.8

- ამ ფანჯარაში მიიტანეთ თავის მიმანიშნებელი მიმართვას და გადაიტანეთ საჭირო საქალაღდეში ან შეასრულეთ მოქმედებები თქვენთვის უკვე ცნობილი ღილაკების საშუალებით: ახალი საქალაღდის შექმნა, გადატანა, წაშლა, სახელის გადარქმევა.
- მონახეთ ბოლო კვირაში ნანახი ვებგვერდები. ამისათვის გამოიყენეთ მენიუთა სტრიქონიდან ჟურნალი - History. History ეკრანზე გამოდის მენიუს View / Explorer Bar / History ბრძანებით ან სტანდარტული ინსტრუმენტების პანელის Favorites Center  ღილაკზე დაჭერით, აგრეთვე კლავიშთა კომბინაციით Ctrl+Shift+H.

- Internet Explorer-ში შეცვალეთ კოდირები და შრიფტის ზომა. ამისათვის: მაუსით მარცხენა ღილაკით დააწკაპუნეთ მენიუდან ბრძანებას View / Text Size, და შეცვალეთ შრიფტის ზომა, ხოლო კოდირება View / Encoding ბრძანებით.
- ერთ ანბანს შეიძლება რამდენიმე კოდირება შეესაბამება და ტექსტის წასაკითხად მათი გადართვა იყოს საჭირო.
- იმ შემთხვევაში, თუ ქართული ტექსტი არ იკითხება ბრაუზერის ფანჯარაში, მაშინ: ბრაუზერის ფანჯარაში შეასრულეთ მენიუს ბრძანება View / Encoding / UserDefined;
- ასევე შესაძლებელია თავად საიტზე იყოს იმ ფონტის გადმოწერის მიმართვა, რომელშიც მისი ვებგვერდია აკრეფილი. ამ შემთხვევაში გადმოწერეთ ფონტი და დააინსტალირეთ;
- თუ ტექსტი კვლავ არ იკითხება, დააჭირეთ Tools / Internet Options დიალოგური ფანჯრის General ჩანართის Fonts ღილაკზე. მიიღებთ Fonts დიალოგურ ფანჯარას (ნახ.9)
- ამ ფანჯრის Language script ჩამონათვალის ერთსტრიქონიან ველში დააყენეთ User Defined, ხოლო Web page font ველში მონიშნეთ Word-ში ნაჩვენები ან ანალოგიური კოდირების შრიფტი. ამის შემდეგ დააჭირეთ OK ღილაკზე;
- დახურეთ Internet Options ფანჯარა ასევე OK ღილაკით.
- File / Open. ამ ბრძანებით გაიხსნება ლოკალურ კომპიუტერზე ან ლოკალურ ქსელში არსებული ვებგვერდი (მოძებნა შეიძლება Open დიალოგური ფანჯრის Browse ღილაკის დახმარებით), ან კიდევ ინტერნეტის სერვერზე განთავსებული ვებგვერდი (მის გასახსნელად Open ტექსტურ ველში საჭიროა მისამართის ჩაწერა). გარდა ამისა, ამ ბრძანებით შესაძლებელია გრაფიკული და სხვა ფაილების (მაგალითად, Microsoft Office-ის ნებისმიერი დოკუმენტის) გახსნა. ეს ბრძანება კლავიატურიდან სრულდება Ctrl+O ან Ctrl+L კლავიშთა კომბინაციით;
- File / Save და File / Save as - Internet Explorer-ის ფანჯრის შიგთავსი დისკზე ჩაიწერება;
- File / Send / Shortcut to Desktop - სამუშაო მაგიდაზე განთავსდება აქტიური ვებგვერდის იარაღი;



ნახ.9

- File / Edit with Microsoft FrontPage - გახსნის აქტიურ ვებგვერდს Microsoft FrontPage საშუალებით. ის ლოკალურ კომპიუტერზე მოთავსებული ვებგვერდის რედაქტირების საშუალებას იძლევა, თუმცა ამისთვის ამ რედაქტორის ცოდნაა საჭირო;
- Edit / Find (on this page) - ამ ბრძანებით ეკრანზე გამოდის Find დიალოგური ფანჯარა (იგივე სრულდება Ctrl+F ღილაკთა კომბინაციით), რომლის დანიშნულებაცაა სიტყვის ან ფრაზის პოვნა აქტიურ ვებგვერდზე. Find what ველში მიეთითება სიმბოლოების მიმდევრობა, რომელიც მოიძებნება Find Next ღილაკზე დაჭერით. ამ ფანჯარას გააჩნია ორი ჩამრთველი: Match whole word only -ჩართვის შემთხვევაში, სიმბოლოთა მითითებული მიმდევრობა ტექსტში მოიძებნება მხოლოდ ცალკე სიტყვის სახით (და არა როგორც სხვა სიტყვის ნაწილი), ხოლო Match case- ჩართვის შემთხვევაში განასხვავებს ლათინური ანბანის დიდ და პატარა ასოებს.
 - View / Source ბრძანებით გაიხსნება Notepad ტექსტური რედაქტორი და მასში



ნახ.10


- გამოჩნდება აქტიური ვებგვერდის HTML კოდი, ანუ HTML ენაზე დაწერილი პროგრამა, რომელსაც მოცემული ვებგვერდი შეესაბამება
- ერთ-ერთი ბრაუზერით გახსნილი ფანჯრის მისამართის ველში ჩაწერეთ ელექტრონული ფოსტის მისამართი.
 - ელექტრონული ფოსტის შექმნისა და მასთან მუშაობის წესები და მეთოდები განიხილეთ Posta.ge-ს მაგალითზე. სხვა ფოსტასთან მუშაობა განხორციელდება ანალოგიურად.

- ელექტრონული ფოსტის გამოძახების შემდეგ გაიხსნება ქვემოთ მოყვანილი ფანჯარა. თუ თქვენ უკვე რეგისტრირებული ხართ ამ ელექტრონულ ფოსტაში, მაშინ ამ ფანჯრის "ავტორიზაცია" ველში მომხმარებლის გასწვრივ ჩაწერეთ თქვენი ფოსტის მისამართი, პაროლი და ხელი დააჭირეთ ღილაკს "შესვლა".
- რეგისტრაციისათვის, ველში "ახალი მომხმარებლის რეგისტრაცია" დააჭირეთ ღილაკს "რეგისტრაცია". სარეგისტრაციო ფანჯარაში შეავსებთ მუქი ფონტით მოცემული ველები და ქვედა ნაწილში შეიყვანეთ მოცემული სარეგისტრაციო კოდი (კოდის შეყვანისას უნდა დაიცვათ ზედა და ქვედა რეგისტრის სიმბოლოთა მოცემული თანამიმდევრობა (ნახ.10).
- ველების შევსების შემდგომ დააჭირეთ ღილაკს „რეგისტრაცია“.
- თუ თქვენ მიერ მითითებული მომხმარებლის სახელი უკვე რეგისტრირებული არ იყო და ველებშიც ინფორმაცია შეიყვანეთ მოცემული განმარტებების გათვალისწინებით (წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა შესაბამისი შეტყობინება), საფოსტო ყუთი დარეგისტრირდება.



ნახ.11

- ფოსტაში შესასვლელად – Internet Explorer -ის ფანჯრის მისამართების ველში აკრიფეთ www.posta.ge და დააჭირეთ Enter კლავიშს.
- გაიხსნება თქვენი საფოსტო ყუთის მისამართი. ფოსტაში შემოსული წერილების დათვალიერება – ფოსტაში ახალი წერილის მოსვლის შემთხვევაში ჩანს შესაბამისი შეტყობინება. (ნახ.11)
- შემოსული წერილების დათვალიერება შესაძლებელია ამ შეტყობინებაზე ან შემოსულ ღილაკებზე დაჭერით გამოსულ ფანჯარაში, სადაც გამოჩნდება გამომგზავნის სახელი, წერილის სათაური, გზავნილის ინფორმაციული ზომა და მინიშნება ტექსტთან ერთად გაქვთ თუ მიმაგრებული ფაილი.



არა

ნახ.12


- ნახვის სურვილის შემთხვევაში აჭერთ გამომგზავნის სახელზე და გაიხსნება წერილის შიგთავსი.
- წერილების წაშლა – წაშლა შესაძლებელია წერილის დათვალიერების ფანჯარაში ან დათვალიერებამდე შემოსული განყოფილებაში, წასაშლელი წერილის უჯრედში აღმის გააქტიურების შემდგომ, წაშლა ღილაკზე დაჭერით. ორივე შემთხვევაში წერილი გადაადგილდება წასაშლელ განყოფილებაში, საიდანაც წაშლა შესაძლებელია ზემოთ აღწერილის ანალოგიურად.
- წერილის გაგზავნა (ნახ.12). წერილის გასაგზავნად აჭერთ ღილაკს ახალი წერილი ფანჯარაში მის გასწვრივ უთითებთ ადრესატის ელექტრონული ფოსტის მისამართს, ირჩევთ წერილის თემას (სათაურს), საჭიროების შემთხვევაში უთითებთ ალტერნატიულ მისამართებს ასლი და ბრმა ასლი ველებში, თუ გსურთ კომპიუტერის მეხსიერებაში შენახული ფაილის გაგზავნა აჭერთ ღილაკზე ფაილის დამატება, მასზე დაჭერისას გამოსულ ახალ ფანჯარაში Browse ღილაკზე დაჭერით აირჩევთ გასაგზავნ ფაილს, შემდგომ აჭერთ დამატება და ბოლოს OK ღილაკებს.
- მისამართები განყოფილებაში შესაძლებელია ადრესატების ელექტრონული ფოსტის მისამართებისა და მათზე პერსონალური ინფორმაციის შენახვა. მთავარი გვერდის პარამეტრები განყოფილებაში მომხმარებელს შეუძლია შეცვალოს რეგისტრაციისას მითითებული მონაცემები, მათ შორის პაროლ ფოსტაში მუშაობის დამთავრებისას აუცილებელია ფანჯრის დახურვამდე დააჭიროთ გამოსვლა ღილაკს.

ლაბორატორიული სამუშაო N4

ტექსტურ რედაქტორთან მუშაობა. ფანჯარა და მისი კომპონენტები. დოკუმენტის შექმნა, შენახვა, დათვალიერება, ბუფერის გამოყენებით ინფორმაციის გაცვლა. ტექსტის ფრაგმენტის მონიშვნა და რედაქტირება.

- დააჭირეთ Start ღილაკს -ეკრანის ქვედა მარცხენა კუთხეში.
- თავის მიმანიშნებელი მიიტანეთ პუნქტზე All Programs-ყველა პროგრამა.
- დაწკაპუნებით გაშალეთ ჩასმული მენიუ Microsoft Office.
- დაწკაპუნებით აირჩიეთ პუნქტი Microsoft Office Word 2007.
- ან სამუშაო მაგიდაზე მოთავსებულ **Word 2007**-ის ნიშნაკზე, თავის მიმანიშნებლით ორჯერ დააწკაპუნეთ

Microsoft Word 2007 მომხმარებლის ინტერფეისის მთავარი ელემენტი არის ლენტა, რომელიც მოთავსებულია ფანჯრის ზედა ნაწილში (ნახ.1).



ნახ.1

- ლენტის გამოსაჩენად და დასამალად, მაუსის კურსორი დააწკაპუნეთ სწრაფი წვდომის პანელზე და გააქტიურეთ ბრძანება Minimize the Ribbon (ნახ1). ან შეასრულეთ კლავიშების კომბინაცია CTRL+F1.

ინსტრუმენტული ლენტა შეიცავს სამი ტიპის ჩანართს:


სტანდარტულს, (ისინი ლენტაზე მუდმივად არის.)

კონტექსტურს (თითოეული კონტექსტური ჩანართი დაკავშირებულია თავის კონკრეტულ ამოცანასთან და მხოლოდ მაშინ იხსნება, როდესაც ამ ამოცანის შესრულებას ვიწყებთ. ძირითადად, კონტექსტური ჩანართები ჩასმულ ობიექტებთან სამუშაოდ მაშინ იხსნება, როდესაც დოკუმენტში მონიშნულია ჩასმული ობიექტი)

ფუნქციური (რომლებიც ცვლის (ან ავსებს) სტანდარტული ნაკრების ჩანართებს გარკვეული ოპერაციების შესრულებისას ან გარკვეულ რეჟიმში გადასვლისას).

- სტანდარტული ჩანართების დასათვალიერებლად, თავის მიმანიშნებელი მიიტანეთ ჩანართებთან და მათზე რიგრიგობით დააწკაპუნეთ Home-(მთავარი), Insert-(ჩასმა, დოკუმენტი სხვადასხვა ობიექტების ჩასასმელად), Page Layout-(გვერდის მონიშვნა, საჭიროა დოკუმენტის პარამეტრების დასაყენებლად), References-(ბმულები), Mailings-(დაგზავნები), Review-(რეცენზირება) და View-(ხედი).
- ჩანართის გასააქტიურებელი სიმბოლოს გამოსაჩენად /დასამალად, დააჭირეთ კლავიშს ALT ან F10, ლენტის ეკრანულ გამოსახულებაზე დაიდება კლავიშების ასოითი აღნიშვნები, რომლებიც ლენტის მართვის ელემენტებს შეესაბამება.
- კლავიატურიდან აირჩიეთ ჩანართი H, რომელიც შეესაბამება ჩანართ (Home-მთავარს)

- კლავიშ F-ზე ორჯერ დაწკაპუნებით, FF , აირჩიეთ შრიფტის გაშლადი სია.
- გამორთეთ ზედნადები ამისათვის კიდევ ერთხელ დააჭირეთ კლავიშს ALT ან F10.
- სწრაფი წვდომის პანელზე (Quick Access Toolbar), დაამატეთ მაგალითად, Open ელემენტი ამისათვის, ჩამოსაშლელ ისარზე დააწკაპუნეთ და "ჩიტი" -ს. "(Check mark) გააქტიურეთ Open ელემენტი. წაშლის შემთხვევაში გაიმეორეთ იგივე (ნახ.2).
- სწრაფი წვდომის პანელზე დაამატეთ ელემენტი რომელიც არ არის სტანდარტულ ჩამონათვალში, მაგალითად, New Comment. ამისათვის, დააწკაპუნეთ ჩამოსაშლელ ისარს და ამოირჩიეთ ბრძანება More Commands. დიალოგურ ფანჯარაში ამოირჩიეთ New Comment ელემენტი და დააწკაპუნეთ Add. (დაამატე) (ნახ. 3).
- New Comment ელემენტის წასაშლელად, შეასრულეთ იგივე ბრძანება და დააწკაპუნეთ Remove (გასუფთავება).
- თავის მიმანიშნებელი დააწკაპუნეთ ფანჯრის ზედა მარცხენა კუთხეში მდებარე ოფისის ღილაკს (office Button) და გამოიძახეთ მენიუ, რომელიც შეიცავს ყველა ფაილთან მუშაობის სტანდარტულ ბრძანებებს, რომელიც საჭიროა ნებისმიერ დოკუმენტთან სამუშაოდ (ნახ.1).
- შექმენით ახალი დოკუმენტი. ამისათვის, თავის მიმანიშნებელი დააწკაპუნეთ ოფისის ღილაკს (office Button). გაშლილი მენიუდან აირჩიეთ New-ახალი. იგივე პროცედურა შეიძლება შევასრულოთ კლავიშების კომბინაციით Ctrl+N.
- ახალ დოკუმენტში აკრიფეთ სტუდენტის სახელი, გვარი და მისამართი.




ნახ.2

დოკუმენტიდან ტექსტის ფრაგმენტის ამოჭრა, კოპირება, ჩასმა, მრავალდონიანი ბუფერი დოკუმენტის მონიშნული ტექსტის ფრაგმენტის ამოჭრა (გადაადგილება) და კოპირება შესაძლებელია Home ჩანართის, Clipboard ჯგუფის Cut ან Copy ბრძანებით, ხოლო მონიშნული ტექსტის ფრაგმენტის ჩასმა ხორციელდება Home ჩანართის, Clipboard ჯგუფის Paste ბრძანებით. ამ ბრძანებებს ბუფერთან სამუშაო ბრძანებები ეწოდებათ (ნახ.4).



ნახ.3



ნახ.4

- მონიშნეთ სტუდენტის სახელი. ამისათვის თავის მიმანიშნებელი მიიტანეთ და დააწკაპუნეთ Home ჩანართში ჯგუფ Clipboard-გაცვლის ბუფერის ამოცანათა არეში მდებარე Format Painter(Ctrl+Shift+c) (მონიშვნა) ღილაკს.
- მონიშნული სტუდენტის სახელის კოპირების საშუალებით ფურცლის ნებისმიერ თავისუფალ ადგილზე გადასატანად, თავის მიმანიშნებელი მიიტანეთ და დააწკაპუნეთ Home ჩანართში ჯგუფ Clipboard-გაცვლის ბუფერის ამოცანათა არეში მდებარე Copy-კოპირება (CTRL+C) მარტივ ღილაკს.
- მონიშნული სტუდენტის სახელის ამოსაჭრელად, თავის მიმანიშნებელი მიიტანეთ და დააწკაპუნეთ Home ჩანართში Clipboard,-ზე მდებარე Cut-ამოჭრა (CTRL+X), ღილაკს.
- ნებისმიერი ფურცლის თავისუფალ ადგილას სტუდენტის სახელის ჩასასმელად თავის მიმანიშნებელი მიიტანეთ და დააწკაპუნეთ Home ჩანართში ჯგუფ Clipboard მდებარე Paste-ჩასმა (CTRL+V) ღილაკს.
- აკრიფეთ სახელი „ნინო“ მონიშნეთ ტექსტი. მონიშვნისას გამოჩნდება ინსტრუმენტების მინი პანელი (ნახ. 5). თავის მიმანიშნებელი მიიტანეთ ჩამოსაშლელი სიის ღილაკზე და ამოირჩიეთ ლურჯი ფერი. აგრეთვე შეასრულეთ სტუდენტის სახელის კოპირება, ჩასმა, ამოჭრა.
- დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად გამოიყენება F1 ფუნქციური ღილაკი. ამისათვის ღილაკებზე თავის მიმთითებელი მიიტანეთ. გამოდის პატარა ფანჯარა განმარტების ტექსტით ღილაკების დანიშნულების შესახებ (ScreenTips).



ნახ.5


ჯგუფ Styles-სტილების საშუალებები ემსახურება აზხაცების წარმოდგენის ავტომატურ მართვას. ჯგუფ Styles-სტილები მართვის ორი გრაფიკული ელემენტია. ეს არის ინტერაქტიული გალერეა Styles-სტილები და საბრძანებო ღილაკი Change Styles-სტილების შეცვლა (ნახ. 6).



ნახ.6

- აკრიფეთ „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თავის მიმანიშნებელი მიიტანეთ და დააწკაპუნეთ Home ჩანართში ჯგუფ Styles-სტილზე მდებარე Styles ინტერაქტიული გალერეის მესამე ღილაკს Heading 1. გალერეის გამოტანა ხდება სამოდროო ზოლის ქვედა სამკუთხა ისარზე დაწკაპუნებით ან Styles-ზე ჩამოსაშლელი სიის ღილაკის დააწკაპუნებით.

- საბრძანებო ღილაკით Change Styles-სტილების შესაცვლელად, თავის მიმანიშნებელი მიიტანეთ და დააწკაპუნეთ Home ჩანართში ჯგუფ Styles-სტილზე მდებარე Change Styles ღილაკს, ჩამოსაშლელ ისარზე დაწკაპუნებით ამოირჩიეთ Style Set > Word 2007
- თავის მიმანიშნებელი რიგრიგობით დააწკაპუნეთ Home ჩანართში, Font , და Paragraph ჯგუფის ჩამოსაშლელ ისარზე, გაიხსნება მათი დიალოგის ფანჯარა (ნახ.7).



ნახ.7

ჯგუფში Font-შრიფტი თავმოყრილია საშუალებები, რომლებიც ემსახურება შრიფტული გაფორმების პარამეტრების ხელით (არაავტომატურ) მართვას.

- თავის მიმანიშნებლით მონიშნეთ სტუდენტის გვარი, და მოახდინეთ მისი გაფორმება. ამისათვის, თავის მიმანიშნებელი მიიტანეთ და დააწკაპუნეთ Home ჩანართში ჯგუფ Font-შრიფტი . ან Font-შრიფტი დიალოგიური ფანჯრიდან. შრიფტის შერჩევის პიქტოგრამით მონახეთ ჩამონათვალში და დააწკაპუნეთ შრიფტზე AcadNusx .შრიფტის ზომის შერჩევის პიქტოგრამით ამოირჩიეთ კეგელი12. მიუთითეთ სტილი Bold.

ჯგუფ Paragraph-აზხაცის საშუალებები ემსახურება აზხაცების წარმოდგენის ხელით (არაავტომატურ) მართვას (ნახ.7).


- ჯგუფ Paragraph-აზხაციდან ან Paragraph დიალოგიური ფანჯრიდან შეასრულეთ აზხაცების ფორმატირება „ტექნიკური უნივერსიტეტი“. ამისათვის, თავის მიმანიშნებელი დააყენეთ „ტექნიკური უნივერსიტეტი“ აზხაცის ბოლოს, (თუ საჭიროა ორი და მეტი აზხაცის წარმოდგენის შეცვლა, ისინი წინასწარ უნდა მონიშნოს ან წამოავლოთ პირველი აზხაცის ბოლოს, ყველა შუალედურ და ბოლო აზხაცების დასაწყისს). თავის მიმანიშნებელი მიიტანეთ და დააწკაპუნეთ Home ჩანართში ჯგუფ Paragraph ან ჩამოსაშლელი სიის ღილაკზე და გამოიტანეთ მისი დიალოგიური ფანჯარა: შეცვალეთ აზხაცის საზღვრები,სტილი, ინტერვალი.



ნახ.8

ჯგუფ Editing-რედაქტირების საშუალებები მიეკუთვნება არა რედაქტირებას, არამედ მისთვის მომზადებას.


- გამოიტანეთ დიალოგური ფანჯარა **Home** ჩანართის, Editing ჯგუფი-რედაქტირების საშუალება (ნახ.8).
- დაათვალიერეთ მისი თითოეული ღილაკი.
- ღილაკის საშუალებით აწარმოეთ ძებნა, მაგალითად, სტუდენტის გვარის, ამისათვის თავის მიმანიშნებელი დააწკაპუნეთ Find ღილაკზე.
- ჩაწერეთ სტუდენტის გვარი Find what: და დააწკაპუნეთ Find Next (ნახ.9).



ნახ.9


- გახსნილ Table of Contents დიალოგურ ფანჯარაში დააწკაპუნეთ Options ღილაკზე (ნახ.21).
- გაიხსნება Table of Contents Options დამატებითი დიალოგური ფანჯარა, რომლის Available styles ველში იპოვეთ სარჩევის სტილის დასახელებას, რომელიც უნდა გამოიყენოთ დოკუმენტში (ნახ.22).
- TOC level ველში, სტილის სახელის გვერდით, უნდა ჩაწეროთ რიცხვი 1-დან 9-მდე, იმ დონის მისათითებლად, რომელიც სასურველია სარჩევის სტილის წარმოსადგენად .
- სარჩევის წაშლა References ჩანართის Table of Contents ჯგუფში დააწკაპუნეთ Table of Contents ღილაკზე და ჩამოშლილ სიაში აირჩიეთ Remove Table of Contents ბრძანება.

ლაბორატორიული სამუშაო №11

დოკუმენტში ობიექტის და ფაილის ჩამატება, მათემატიკური ფორმულების რედაქტორთან *Equation Editor*-თან მუშაობა, სანიშნის შექმნა, ჰიპერკავშირის ჩამატება. ფაილების გაერთიანება.

Microsoft Word 2007-ში ფორმულები, როგორც სხვა ობიექტები, ისე ჩანართ Insert-ჩასმის მეშვეობით.

- გააქტიურეთ აპლიკაცია Word 2007
- გახსენით ახალი ფურცელი ბრძანებით Office – New-შექმნა.
- დააყენეთ კურსორი იმ ადგილას, სადაც უნდა იყოს ფორმულა და გაეცით ბრძანება ჩანართი Insert-ჩასმა– –ჯგუფიდან Symbol-სიმბოლოები დააწკაპუნეთ ღილაკ Equation-ფორმულა, დოკუმენტში გაჩნდება ფორმულის შეყვანის უბანი (ჯერჯერობით ცარიელი), ხოლო ინსტრუმენტულ ლენტზე გაიხსნება კონტექსტური ჩანართი Equation Tools-ფორმულებთან მუშაობა – Design-კონსტრუქტორი (ნახ.1).



ნახ.1

- ტექსტის ფორმულად გარდასაქმნელად უბრალოდ აკრიფეთ ტექსტი, შემდეგ მონიშნეთ ის და გაეცით ბრძანება ჩანართი Insert-ჩასმა– –ჯგუფიდან Symbol-სიმბოლოები. დააწკაპუნეთ ღილაკ Equation-ფორმულა. ტექსტი ავტომატურად გარდაიქმნება ხაზოვანი სახის ფორმულად.
- სიმბოლოები შეიძლება შეყვანილ იქნეს როგორც კლავიატურის, ისე თავის დახმარებით, მათი არჩევით გალერეიდან ჯგუფში Symbols-სიმბოლოები.
- ის ნიშნები, რომლებიც წარმოდგენილია ჯგუფში Symbols-სიმბოლოები ჩანართზე Equation Tools-ფორმულებთან მუშაობა - Design-კონსტრუქტორი, ყოველთვის არ არის საკმარისი ფორმულების შესაქმნელად. ამისათვის, ჩანართი

Insert-ჩასმა - , ჯგუფი Symbols-სიმბოლოები გასაშლელი სიდიდან აირჩიეთ More Symbols გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Symbols-სიმბოლო და ხელით აირჩიეთ საჭირო სიმბოლო (ნახ.2) .



ნახ.2

- შრიფტის რეკომენდებული გარნიტურაა Cambria Math, თუმცა ეს არ არის აუცილებელი მოთხოვნა. ჩვეულებრივ, სიმბოლოები, რომლებიც სამეცნიერო ფორმულებისა და ლოგიკური ფრაზების შეყვანისას გამოიყენება, მდებარეობს კატეგორიებში Arrows-ისრები, Mathematical Operators-მათემატიკური ოპერატორები, Miscellaneous Technical-სხვადასხვა ტექნიკური სიმბოლოები.

- ფორმულების რედაქტირებისათვის გადაადგილეთ კურსორი ფორმულის შიგნით კურსორის მართვის კლავიშების დახმარებით. სიმბოლოების შესწორებისას რეკომენდებულია გამოიყენოთ შენაცვლების რეჟიმი: ჯერ მონიშნეთ შესაცვლელი სიმბოლო ან შაბლონი, მერე კი შეცვალეთ საჭირო ნიშნით ან შაბლონით. ნიშნების ჯგუფის შეყვანას ამთავრებენ კლავიშით, ისარი მარჯვნივ.

არსებობს დოკუმენტში ფორმულების განთავსების ორი ილეთი:


სტრიქონში ჩასმით და განცალკევებით (ცალკე სტრიქონზე). პირველი სახის ფორმულებს პროგრამის ტერმინოლოგიაში ჩასმულები ეწოდება, მეორე სახისას კი ასასახები. სტრიქონში განთავსებას იყენებენ მოკლე და არადაანომრილი ფორმულებისა და ლოგიკური ფრაზებისთვის, დანარჩენ შემთხვევებში ფორმულას აცალკევებენ ცალკე სტრიქონში განთავსებით.

თუ კურსორი ცარიელ სტრიქონში მდებარეობს, ფორმულა ავტომატურად ფორმირდება როგორც განცალკევებული, წინააღმდეგ შემთხვევაში როგორც ჩასმა. როცა ფორმულა უკვე შექმნილია, მისი განთავსების მექანიზმი შეიძლება შეიცვალოს ფორმულის პარამეტრების მენიუს დახმარებით.

- დააწკაპუნეთ ფორმულაზე თავის ძირითადი ღილაკით გვერდზე გამოცალკევდება ფორმულის უბანი (ნახ. 3).
- ფორმულის უბნის ქვედა მარჯვენა კუთხეში აისახება ღილაკი Equation Options-ფორმულების პარამეტრები.
- ეს ღილაკი ხსნის ფორმულის პარამეტრების მენიუს.
- თუ ფორმულა განთავსებულია ასე.



ნახ.3



ნახ.4

- ფორმულის სწორებისათვის გახსენით ფორმულების პარამეტრების მენიუ (ნახ. 4).
- თავის მიმანიშნებელი მიიტანეთ პუნქტზე Justification-სწორება გაიხსნება ჩასმული მენიუ.
- აირჩიეთ სწორების საჭირო მეთოდი.
- ფორმულების გადატანისთვის შეასრულეთ შემდეგი მოქმედება ჩანართზე Equation Tools-ფორმულებთან მუშაობა – Design-კონსტრუქტორი, ჯგუფი Tools ისრის გაშლად მენიუდან დიალოგურ ფანჯარაში Equation Options-ფორმულების პარამეტრები (ნახ. 5).
- მენიუს სიის მეშვეობით Break lines with binary and relational operators-სტრიქონების გაწყვეტა ბინარული ოპერატორებითა და ურთიერთობების ოპერატორებით.
- ასევე ფანჯარაში Equation Options-ფორმულების პარამეტრები, შეიძლება მოიმართოს ფორმულა გაგრძელების სტრიქონების ფორმატირების მექანიზმით. ეს ხდება მართვის ელემენტებით ჯგუფში For math that wraps to a new line-თუ ფორმულა იკავებს რამდენიმე სტრიქონს.



ნახ.5

- ფორმულის იძულებით გადასატანად დააყენეთ კურსორი ნებადართული გადატანის პოზიციაში, გახსენით ფორმულის კონტექსტური მენიუ და გაეცით ბრძანება Insert Manual Break-იძულებითი წყვეტის ჩასმა.

განვიხილოთ ფორმულების სახასიათო ელემენტების შეყვანის ძირითადი ილეთები.

- ხარისხების მაჩვენებლები და სტრიქონქვეშა ინდექსები შეიყვანეთ შაბლონების დახმარებით. ამისათვის, კურსორი დააყენეთ საჭირო პოზიციაში.
- ჯგუფში Structures-სტრუქტურები ჩანართზე Equation Tools-ფორმულებთან მუშაობა Design-კონსტრუქტორი დააჭირეთ ღილაკს Matrix-ინდექსი.
- გახსნილ კოლექციაში აირჩიეთ ერთ-ერთი ხელმისაწვდომი შაბლონი.
- შაბლონის ელემენტებს შორის გადაადით კურსორის მართვის კლავიშების დახმარებით და შეიყვანეთ საჭირო მონაცემები.
- შაბლონის ელემენტების შეყვანა დაასრულეთ კურსორულ კლავიშზე “ისარი მარჯვნივ” დაჭერით. შესაძლოა, რამდენჯერმე მოგიწიოთ მასზე დაჭერა.
- წილადები ასევე შექმენით შაბლონების დახმარებით. ამისათვის: ჯგუფში Structures-სტრუქტურები ჩანართზე Equation Tools-ფორმულებთან მუშაობა Design-კონსტრუქტორი დააჭირეთ ღილაკს Fraction-წილადი. მრიცხველსა და მნიშვნელს შორის გადასვლა განახორციელეთ კურსორული კლავიშებით.
- წილადის შექმნის დასრულებისთანავე კურსორი გამოიტანეთ კლავიშის ისარი მარჯვნივ ფარგლებიდან.

ტრიგონომეტრიული ფუნქციები

- ფუნქციების სახელები, ცვლადების სახელებისგან განსხვავებით, ფორმდება სწორი შრიფტით.
- მათი შესაყვანი შაბლონები მდებარეობს კოლექციაში Equation Tools-ფორმულებთან მუშაობა Design-კონსტრუქტორი Structures-სტრუქტურები Function-ტრიგონომეტრიული ფუნქციები.
- ყურადღება მიაქციეთ, რომ ფუნქციები ტანგენსი და კოტანგენსი ჩაიწერება ანგლოსაქსონური ტრადიციების თანახმად: $\tan(x)$ და $\cot(y)$. შეიძლება ასევე ვარიანტი: $tg(x)$ და $ctg(y)$.

ბრჭყალებთან მუშაობა. თუ ლოგიკურ ფრაზას რთული სტრუქტურა აქვს და რამდენიმე წყვილ ბრჭყალს შეიცავს, რეკომენდებულია მისი შეყვანა დაიწყოს ბრჭყალების განთავსებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,

- როდესაც ბრჭყალები ჩასმულია. ამ შემთხვევაში თავდაპირველად დგინდება გარე ბრჭყალები, შემდეგ შიგა. შაბლონები ბრჭყალების შესაქმნელად მდებარეობს კოლექციაში Equation Tools-ფორმულებთან მუშაობა Design-კონსტრუქტორი Structures-სტრუქტურები – Bracket ბრჭყალები.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მათემატიკური ლოგიკური ფრაზების შეყვანის თანამედროვე მძლავრი და ეფექტური საშუალება, პროგრამაში კვლავინდებურად არის შენარჩუნებული ფორმულების შეყვანის ტრადიციული საშუალება – Microsoft Equation 3.0. მისი დახმარებით იქმნება გრაფიკული სახის ფორმულები, რომლებთანაც შეიძლება ისე იმოქმედოთ, როგორც გამოსახულებებთან.

- ფორმულების ჩასმული რედაქტორის ასამოქმედებლად გახსენით ჩანართი Insert-ჩასმა და ჯგუფში Text-ტექსტი დააჭირეთ ღილაკს Object-ობიექტი გაიხსნება ფანჯარა Object-ობიექტის ჩასმა.
- შემდგომში სიაში Object Type-ობიექტის ტიპი ჩანართზე Create New- შექმნა აირჩიეთ ობიექტი Microsoft Equation 3.0. ამ დროს დოკუმენტში ჩაისმება ცარიელი ობიექტი მომავალი ფორმულა, ხოლო პროგრამის ფანჯარაში იხსნება ინსტრუმენტთა სპეციალური პანელი.
- ფორმულების რედაქტორის ინსტრუმენტების პანელი ჰორიზონტალური ხაზით არის გაყოფილი ორ ნახევრად (ნახ. 6). მისი ზედა ნახევარი საშუალებას იძლევა შეიყვანოთ ცალკეული სიმბოლოები
- ან სიმბოლოების სპეციალური ნიშნები. პანელ Equation-ფორმულის ქვედა ნახევარი ეს შაბლონების პანელია.



ნახ.6

გრაფიკული ფორმულების შეყვანა.

უმარტივესი სტრუქტურის ფორმულები შეიძლება შეიყვანოთ უშუალოდ კლავიატურიდან. არსებითად, ასე შეჰყავთ რიცხობრივი კონტაქტები, ცვლადების სახელები და დამხმარე კომენტარები, თუ ფორმულა მათ უნდა შეიცავდეს. თუ აუცილებელი სიმბოლო კლავიატურაზე არ არის, მას ირჩევენ პანელზე Equation-ფორმულა. უფრო რთული სტრუქტურების შესაყვანად იყენებენ შაბლონებს.

შაბლონები შეიცავს რამდენიმე მინდორს, რომლებშიც სიმბოლოები შედის. ასეთი შაბლონის მაგალითი შეიძლება იყოს რადიკალის ნიშანი, რომლის შემადგენლობაში შედის ორი მინდორი: ფესვის მაჩვენებლის მინდორი და ფესვქვეშა ლოგიკური ფრაზის მინდორი.

ერთი მინდვრიდან მეორეზე გადასვლა ხორციელდება კურსორის მართვის კლავიშების დახმარებით. კურსორის ზომა და სპეციალური გასასმელი ხაზი უჩვენებს, რომელ მინდორში ხორციელდება შეყვანა (ნახ.7).


- ფორმულის შეყვანის დასრულება და დოკუმენტის ჩვეულებრივ რედაქტირებასთან გადასვლა ხორციელდება კლავიშით ESC. ფორმულა დოკუმენტში ისმება როგორც გრაფიკული ობიექტი.
- ფორმულაზე ორმაგი დაწკაპუნება საშუალებას იძლევა განახლდეს მისი რედაქტირება. ფორმულა ასევე შეიძლება დაკოპირდეს გაცვლის ბუფერში და გადავიდეს დოკუმენტში, რომელიც სხვა დანართშია გახსნილი.



ნახ.7

ფორმულების რედაქტორში გამოიყენება ორი გარნიტურის შრიფტი Times New Roman და Symbol. გარნიტურა Symbol გამოიყენება მათემატიკური მოქმედების ნიშნების და ბერძნული ანბანის ასოების შესაყვანად. დანარჩენ შემთხვევებში გამოიყენება გარნიტურა Times New Roman. შრიფტული მომართვები მიეთითება დიალოგურ ფანჯარაში Styles-სტილები, რომელიც იხსნება მენიუს სტრიქონიდან ბრძანებით Styles-სტილი Define-განსაზღვრა (ნახ. 8).

- აამოქმედეთ ფორმულების რედაქტორი Insert-ჩასმა Object-ობიექტი Create New-შექმნა – Microsoft Equation 3.0.
- გაიხსნება მე-6 ნახ-ზე ნაჩვენები პანელი, მის დასახურად დააჭირეთ კლავიატურაზე Esc კლავიშს.
- მონიშნეთ ფურცელზე დარჩენილი ფორმულათა პატარა ველი და გააქტიურეთ მასუსის მარჯვენა ღილაკი. კონტექსტურ მენიუმში აირჩიეთ ბრძანება Equation Object-ფორმულის ობიექტი Open-გახსნა.
- მე-4 მენიუს სტრიქონის ბრძანებით Size-ზომა Define-განსაზღვრა გახსენით დიალოგური ფანჯარა Sizes-ზომები.
- აირჩიეთ ფორმულის ელემენტების კატეგორია.
- მიუთითეთ სიმბოლოების ზომა არჩეული კატეგორიისთვის.
- მომართვის მოქმედების შედეგი აკონტროლეთ წინასწარი გადახედვის უბანში.
- აამოქმედეთ მომართვა ღილაკით Apply-გამოყენება და აირჩიეთ მორიგი კატეგორია.
- მომართვის დასრულებისთანავე, დახურეთ დიალოგური ფანჯარა ღილაკით OK.



ნახ.8

ლაბორატორიული სამუშაო 12

სტანდარტული შაბლონები. სამომხმარებლო შაბლონების შექმნა და რედაქტირება. დოკუმენტის დაცვა დათვალიერებისა და რედაქტირებისაგან. დოკუმენტის სტატისტიკა; დოკუმენტისთვის ავტორის მონაცემებისა და ხელმოწერის დამატება.

თუ გაქვთ დოკუმენტი, რომელიც შემდგომში გსურთ შაბლონის სახით გამოიყენოთ, შექმენით შაბლონი მის საფუძველზე.

თუ ასეთი დოკუმენტი არ არის, მაგრამ არის შაბლონი, რომელიც ჰგავს, იმას, რაც თქვენ გჭირდებათ, შექმენით შაბლონი მისი მოდიფიკაციით.

თუ საერთოდ არაფერი გაქვთ ხელთ, იდგის გარდა, შეგიძლიათ დაიწყოთ “სუფთა ფურცლიდან”.

არის კიდევ ერთი საშუალება, შაბლონი შეიქმნას რამდენიმე შაბლონზე დაყრდნობით, მათი ცალკეული კომპონენტების გაერთიანებით.

- შაბლონის ახალი დოკუმენტით შესაქმნელად, გახსენით დოკუმენტი და შეინახეთ შაბლონის სახით.

- ჩატვირთეთ დოკუმენტი, რომლის შაბლონად გარდაქმნაც გსურთ.

- დააჭირეთ ღილაკს Office გაიხსნება პროგრამის მთავარი მენიუ.

- მაუსი დააწკაპუნეთ ბრძანება Save As-შენახვა.

- სასურველია შაბლონები შეინახოთ არა ნებისმიერ ადგილას, არამედ პროგრამისთვის ცნობილ ადგილებში ასეთი ადგილი სულ სამია:

1. პირველი თვით პროგრამის მიერ არის შექმნილი.

C:\Program Files\Microsoft Office\1049\Templates\

2. მეორეს განსაზღვრავს მომხმარებელი, ანუ თქვენ თვითონ,

C:\Documents_and_Settings\{მომხმარებლის_სახელი}

\Application_Data\Microsoft\Templates\.

3. მესამეს კი განსაზღვრავს ადმინისტრაცია, თუ

კომპიუტერი ლოკალურ ქსელშია ჩართული და სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედის.

- დიალოგური ფანჯარში Save As-დოკუმენტის შენახვა გაშლად სიაში, შაბლონი შეინახეთ ზემოთ მითითებულ ნებისმიერ ადგილას. Save as type-ფაილის ტიპი აირჩიეთ ან Word Template-Word-ის შაბლონი (ნახ. 1).

- შაბლონი შეინახება ფაილში გაფართოებით სახელად dotx.

- მინდორში File Name-ფაილის სახელი შეიცვანეთ შაბლონის სახელწოდება.

- შეინახეთ შაბლონი საბრძანებო ღილაკზე Save-შენახვაზე დაჭერით.

- უკვე შექმნილი შაბლონის გასახსნელად დააჭირეთ ღილაკს Office გაიხსნება პროგრამის მთავარი მენიუ.

- მიეცით ბრძანება New-შექმნა. გაიხსნება ჩვენ მიერ ადრე განხილული დიალოგური ფანჯარა დოკუმენტის შექმნა.

- კატეგორიების პანელზე გახსენით კატეგორია Installed Templates-დაყენებული შაბლონები.

- ერთი დაწკაპუნებით მონიშნეთ (არ გახსნათ) შაბლონი, რომელიც არჩეულია საფუძვლის სახით.



ნახ.1



ნახ.2

- წინასწარი გადახედვის პანელის ქვეშ ჩართეთ გადამრთველი Template-შაბლონი ჯგუფში Create new-შექმნა (ნახ. 2).
- დააჭირეთ საბრძანებო ღილაკს Create-შექმნა შაბლონი გაიხსნება რედაქტირებისთვის.
- შეიტანეთ შაბლონში ცვლილებები.
- შეინახეთ შაბლონი ახალი სახელით
- შაბლონ Normal.dotx-ის საფუძველზე შაბლონის შესაქმნელად, დააჭირეთ ღილაკს Office გაიხსნება პროგრამის მთავარი მენიუ.
- გაეცით ბრძანება New-შექმნა გაიხსნება ფანჯარა New Document-დოკუმენტის შექმნა.
- გახსენით კატეგორია My Tempaltes-ჩემი შაბლონები გაიხსნება ფანჯარა New-შექმნა (ნახ.3).
- დაწკაპუნებით მონიშნეთ, ოღონდაც არ გახსნათ შაბლონი New-ახალი დოკუმენტი. ეს არის სწორედ შაბლონი Normal.dotx.
- წინასწარი გადახედვის პანელის ქვეშ ჩართეთ გადამრთველი Template-შაბლონი ჯგუფში Create New-შექმნა.



ნახ.3

- დააჭირეთ ღილაკს OK შაბლონი გაიხსნება რედაქტირებისთვის.
- შეიტანეთ შაბლონში სასურველი ცვლილებები. ძირითადი სტილები ისე შეასწორეთ, როგორც საჭიროა.
- შეინახეთ შაბლონი ახალი სახელით, მაგალითად ჩემი ძირითადი შაბლონი.
- შემდეგ დაიწყეთ ახალი შაბლონებისა და დოკუმენტების შექმნა ამ შაბლონიდან. თუ საჭირო გახდება შაბლონში რაიმე მომართვების შენახვა, მაგალითად, სტილების მომართვის, ისინი აუცილებლად შეინახეთ ამ შაბლონში, ხოლო შაბლონს Normal.dotx ხელი არ ახლოთ.
- შექმენით შაბლონ Normal-ის ასლი, როგორც მითითებულია ზემოთ და უწოდეთ მას, მაგალითად, ჩემი ძირითადი შაბლონი (ნახ.4).
- ეს შაბლონი აქციეთ გლობალურად დიალოგური ფანჯრის Tempaltes and Add-ins- შაბლონებისა და ზედნაშენების საშუალებებით (ნახ.4).




ნახ.4

- აქციეთ ეს შაბლონი მუდმივად, მისი მალსახმობის განთავსებით პროგრამის ავტოჩატვირთვის საქალაქში,
- შაბლონ Normal.dotx-ის ფაილი, რომელიც ინახება პირადი შაბლონების საქალაქში, დაიცავით შესაძლო მოდიფიკაციებისგან. გახსენით საქალაქი C:\Documents and Settings\Student\Application Data\Microsoft\Word\STARTUP
- თავის მარჯვენა ღილაკით დააწკაპუნეთ ფაილ Normal.dotx-ის ნიშანზე. გახსნილ კონტექსტურ მენიუში აირჩიეთ ბრძანება Properties-თვისებები გაიხსნება ფაილისთვისების დიალოგური ფანჯარა. ამ ფანჯარაში დააყენეთ ალამი Read Only-მხოლოდ კითხვა.
- არ დაეყრდნოთ ამ ზომას. სერიოზულ მაკროვირუსს შეუძლია მოხსნას ალამი Read Only-მხოლოდ კითხვა, შეიტანოს ფაილში შესწორება და კვლავ აღადგინოს ალამი.
- პროგრამაში ჩართეთ შაბლონ Normal-ში ცვლილებების შეტანის მცდელობების შესახებ გაფრთხილების რეჟიმი. დააჭირეთ ღილაკს Office გაიხსნება პროგრამის მთავარი მენიუ.

- დაჭირეთ საბრძანებო ღილაკს Word Options-Word-ის პარამეტრები გაიხსნება ამავე სახელწოდების დიალოგური ფანჯარა. კატეგორიების პანელზე გახსენით კატეგორია Advanced-დამატებით. განყოფილება Save- შენახვა აღმართეთ ალამი Prompt before saving Normal template-მოთხოვნა შაბლონ Normal.dot-ის შენახვაზე.
- დახურეთ ფანჯარა ღილაკ OK-ზე დაჭირით. ციტატების სიის შექმნა უფრო მოსახერხებელია დოკუმენტის შექმნის პროცესში, თუმცა ეს შესაძლებელია უშუალოდ ამობეჭდვის ან/და დოკუმენტის გამოქვეყნების წინაც.
- ტექსტში აკრიფეთ ავტორის სახელი და გვარი იმისათვის, რომ ეს ციტატა დაემატოს სიას, აუცილებელია ჯერ მონიშნოს ეს ციტატა სახელი და გვარი და მერე თავის მიმანიშნებელი დაეაწკაპუნოთ Reference ჩანართი, Table of Authorities ჯგუფის Mark Citation ღილაკზე ან გამოიყენოთ <Alt>+<Shift>+<I> კლავიშთა კომბინაცია (ნახ.5).




ნახ.5



ნახ.6

- გაიხსნება Mark Citation დიალოგური ფანჯარა, რომლის Selected text ველი უკვე შეიცავს მონიშნულ ციტატას (ნახ.6).
- Short citation ველში შეიძლება შეიტანოთ ამ ციტატის მოკლე დასახელება და დააწკაპუნოთ Mark ღილაკზე და ციტატა შეტანილი იქნება ციტატების სიაში.
- თუ თქვენ გჭირდებათ სიაში მითითებული იყოს დოკუმენტის ყველა ის გვერდი, სადაც მოცემული ციტატა გვხვდება, მაშინ ხელი უნდა დააჭიროთ Mark All ღილაკს.
- ამ ოპერაციის შედეგად ავტომატურად ჩაირთვება Home ჩანართი Paragraph ჯგუფი Show/Hide ღილაკი, ხოლო ტექსტში შერჩეული სიტყვის შემდეგ ჩაემატება შესაბამისი ველი მას შემდეგ, რაც მთელ დოკუმენტში მოხდება მაჩვენებელში ჩასაწერი საჭირო ციტატების მონიშვნა, უნდა განხორციელდეს მაჩვენებლის ფორმირება.
- ამისათვის, საჭიროა თავის მაჩვენებელი ჩააყენოთ დოკუმენტის იმ ადგილზე, სადაც უნდა განთავსდეს მაჩვენებელი და დააწკაპუნოთ References ჩანართი Table of Authorities ჯგუფის Insert Table of Authorities ღილაკზე.



ნახ.7

- გაიხსნება Table of Authorities დიალოგური ფანჯარა (ნახ.7).
- აირჩიეთ მაჩვენებლის აუცილებელი ფორმატი, მაჩვენებლის ელემენტების განთავსების ტიპი, ენა და დააწკაპუნეთ ღილაკზე. ციტატების სია შეიქმნება.
- აუცილებელი პარამეტრების შერჩევის დროს Print Preview ველში ნახეთ, თუ როგორი სახე ექნება ციტატების სიას.
- დააჭირეთ OK ღილაკს .
- მიმდინარე დოკუმენტის სტატისტიკური მონაცემების დასათვალისწინებლად დააწკაპუნეთ Review ჩანართის Proofing ჯგუფიდან ღილაკ ABC.
- გაიხსნება დიალოგის ფანჯარა Word count (ნახ.8). ამ დიალოგურ ფანჯარაში სადაც მითითებულია შემდეგი სტატისტიკური მონაცემები:
 - Pages – თუ რამდენი გვერდისგან შედგება დოკუმენტი.
 - Characters (No spaces) – სიმბოლოთა რაოდენობა დოკუმენტში გამოტოვების გარეშე.
 - Characters (With spaces)– სიმბოლოთა რაოდენობა გამოტოვებების ჩათვლით.
 - Paragraphs –პარაგრაფების რაოდენობა.
 - Lines –სტრიქონების რაოდენობა დოკუმენტში.



ნახ.8

თუ ამავე ფანჯარაში მონიშნავთ ბრძანებას: Include Footnotes and Endnot მაშინ სტატისტიკურ მონაცემებში გათვალისწინებული იქნება სქოლიოს მონაცემები.


ლაბორატორიული სამუშაო 13

მაკროსების შექმნა, მათი გამოყენება და რედაქტირების საშუალებები.

- გააქტიურეთ აპლიკაცია Word 2007.
- გახსენით ახალი ფურცელი, ბრძანებით Office – New-შექმნა.
- მაკროსის ჩასაწერად და მის შესასრულებლად დააწკაპუნეთ View ჩანართის Macros ჯგუფის ღილაკ Macros, რომლის შემდეგაც ჩამოიშლება ბრძანებების სია (ნახ.1).
- მაკროსის ჩასაწერად აირჩიეთ ბრძანება Record Macro...; გაიხსნება Record Macro დიალოგური ფანჯარა, რომლის Macro Name ველში ჩაწერილი იქნება მაკროსის პირობითი სახელი Macro1 (Macro2, Macro3, ...), რომელიც შეგიძლიათ შეცვალოთ ან დატოვოთ (ნახ.2).
- Store macro in ჩამოშლად ველში შეირჩევა მაკროსის მოქმედების არე – მოცემული დოკუმენტი ან ახალი დოკუმენტი.
- Description ველში კი შეიძლება ჩაიწეროს მაკროსის აღწერა.
- დააწკაპუნეთ OK ღილაკს.
- კლავიშის მოსამართად თავის მიმანიშნებელი დაწკაპუნეთ Keyboard ღილაკზე.
- გაიხსნება Customize Keyboard დამატებითი დიალოგური ფანჯარა (ნახ.3).
- ამ ფანჯრის Commands ველში მითითებული იქნება იმ მაკროსის სახელი, რომლისთვისაც ხდება კლავიშის შერჩევა.
- Press new shortcut key ველში კურსორის ჩაყენების შემდეგ აკრიფეთ შესაბამისი კლავიშთა კომბინაცია და დაჭირეთ Assign ღილაკს, რის შემდეგაც აღნიშნული კომბინაცია გადაინაცვლებს Current keys ველში.
- კლავიშის წასაშლელად Current keys ველში მონიშნეთ საჭირო კომბინაცია და დააწკაპუნეთ Remove ღილაკს.
- დააწკაპუნეთ ღილაკ Button, მაშინ გაიხსნება Word Options ფანჯრის Customize ჩანართი, რომლის საშუალებითაც შეიძლება აღნიშნული მაკროსის შესაბამისი ღილაკი განათავსოთ Customize Quick Access Toolbar სწრაფი წვდომის პანელზე (ნახ.4).



ნახ.1



ნახ.2




ნახ.3



ნახ.4


- შეასრულოთ მოქმედებები იმ მიმდევრობით, როგორც გსურთ მათი ჩაწერა მაკროსში.
- View ჩანართი Macros ჯგუფის ღილაკ Macros-დან, შეასრულეთ ბრძანებაა Stop Recording - დავასრულოთ მაკროსის ჩაწერა.
- მაკროსის შესრულებაზე გაშვების მიზნით მონიშნეთ დოკუმენტის ის ადგილი, რომლიდანაც უნდა დაიწყოს მაკროსის შესრულება და გამოიყენეთ ჩაწერილი კლავიშის კომბინაცია ან სწრაფი წვდომის პანელზე განთავსებული ღილაკი.
- მაკროსის შესრულებაზე გაშვება აგრეთვე შეიძლება View ჩანართი Macros ჯგუფის ღილაკ Macros – დან View Macros ბრძანებით ან კლავიშთა კომბინაციაზე ALT+F8 დაჭერით..
- გაიხსნება მაკრობრძანებებთან სამუშაო დიალოგურ ფანჯარა Macros-მაკროსები. Macro დიალოგური ფანჯარა (ნახ.5).
- Macro Name ველში შეარჩიეთ შესასრულებელი მაკროსი და თავგით დააწკაპუნეთ Run ღილაკზე.
- იმავე ფანჯრის Step Into და Edit ღილაკებით გახსენით ამ მაკროსის შესაბამისი Visual Basic -ის ენაზე ჩაწერილი პროგრამა და შეიტანეთ მასში თქვენთვის საჭირო შესწორებები ან მოახდინეთ პროგრამის რედაქტირება.
- Delete ღილაკით წაშალეთ რომელიმე მაკროსი.
- Organizer... ღილაკზე დაწკაპუნებით გახსენით იმავე სახელწოდების დიალოგური ფანჯარა (ნახ.6), საიდანაც შეიძლება შეარჩიოთ ამ მაკროსის სტილი და პროექტის ელემენტის მნიშვნელობა, მოახდინეთ მისი კოპირება, წაშლა ან სახელის შეცვლა.
- მაკროსის ზემოთ აღწერილი ბრძანებების შესრულება შესაძლებელია დამატებითი Developer ჩანართის Code ქვეჯგუფის ბრძანებების საშუალებით (ნახ.7).
- ჩართეთ Developer ჩანართი, ამისათვის Office Button მენიუში Word Options დიალოგური ფანჯრის Popular ჩანართში მონიშნეთ Show Developer tab in the Ribbon ჩამრთველი.



ნახ.5



ნახ.6



ნახ.7

- მაკროსის უსაფრთხოების მაკრო-პარამეტრების მომართვისთვის საჭიროა დამატებით Developer მენიუს Code ქვემენიუში აირჩიოთ ბრძანება Macro Security. მისი საშუალებით, თუ კომპიუტერზე არის დაყენებული ანტივირუსული პროგრამა, ხდება უსაფრთხოების პარამეტრების მომართვა.
- თუ დოკუმენტი შეიცავს მაკროსებს, მაშინ ვიდრე ეს დოკუმენტი გახსნილია მისი ვირუსზე შემოწმება ხორციელდება. ჩვენ შეგიძლიათ შევცვალოთ უსაფრთხოების მომართვის მაკრო-პარამეტრები და ეს ცვლილება მოქმედებს მხოლოდ Word -ში და არ ეხება Office -ის არც ერთ სხვა პროგრამას.

- Visual Basic -ის ენაზე მაკროსის დასაწერად, საჭიროა, დააწკაპუნოთ Developer ჩანართი Code ჯგუფის ღილაკ Visual Basic.
- სამუშაო ფურცელზე Visual Basic -ის იარაღების გამოყენება შესაძლებელია Developer ჩანართი Code ჯგუფის ქვემენიუს ბრძანებების საშუალებით. არსებობს მაკროსის ამოქმედების სამი საშუალება.
 1. ძირითადი დიალოგური ფანჯრის Macros-მაკროსის დახმარებით, რომელიც იხსნება ბრძანებით View-ხედი– Macros-მაკროსები – Macros-მაკროსები.
 2. მეორე საშუალებაა მაკროსის ღილაკზე დაწკაპუნება სწრაფი მიწვდომის პანელზე, თუ ეს ღილაკი იქ არის.
 3. მესამე საშუალებაა კლავიშთა გარკვეული კომბინაციით, თუ ის წინასწარ არის მომართული. გრაფიკული ღილაკი მაკროსის ასამოქმედებლად იქმნება ორ ილეთად. პირველ ნაბიჯზე იქმნება სტანდარტული სახის გრაფიკული ღილაკი. ხოლო მეორეზე კი ხორციელდება მისთვის სიმპათიური ნიშნის არჩევა.
 - ღილაკ Office-ზე დაწკაპუნებით გახსენით პროგრამის მთავარი მენიუ.
 - დააჭირეთ ღილაკს Word Options-Word-ის პარამეტრები გაიხსნება ამავე სახელწოდების დიალოგური ფანჯარა, რომელიც წარმოდგენილია (ნახ. 8).
 - მარცხენა პანელზე აირჩიეთ განყოფილება Customize-მომართეები.
 - მარჯვენა პანელზე გაშალეთ სია Choose command from- ბრძანებების არჩევა და აირჩიეთ მასში კატეგორია Macros-მაკროსები.
 - მაკროსების სიაში აირჩიეთ ის მაკროსი, რომლისთვისაც იქმნება ღილაკი.
 - დააჭირეთ ღილაკს Add-დამატება. ახალი ღილაკი სწრაფი მიწვდომის პანელის ღილაკების სიაში შევა.
 - მონიშნეთ ახლახან შექმნილი ღილაკი.
 - დააჭირეთ საბრძანებო ღილაკს Modify-შეცვლა. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Modify Button-ღილაკის შეცვლა (ნახ.9).
 - აირჩიეთ ნიშანი, რომლითაც იქნება წარმოდგენილი მაკროსი სწრაფი მიწვდომის პანელზე.
 - მინდორში Display name-ასახსი სახელი შეიყვანეთ ღილაკის სახელი; ის აისახება ღილაკზე თავის მიმანიშნებლის მიტანისას.
 - დახურეთ გახსნილი ფანჯრები ღილაკებზე OK დაწკაპუნებებით.




ნახ.8



ნახ.9

კლავიატურული კომბინაციის შექმნა მაკროსის ასამოქმედებლად ისევე იწყება, როგორც გრაფიკული ლილაკის შექმნა.

- ლილაკ Office-ზე დაწკაპუნებით გახსენით პროგრამის მთავარი მენიუ.
- დააჭირეთ ლილაკს Word-ის პარამეტრები. გაიხსნება ამავე სახელწოდების დიალოგური ფანჯარა (ნახ.4)
- მარცხენა პანელზე აირჩიეთ განყოფილება Customize-მომართვები.
- მარჯვენა პანელზე დააჭირეთ ლილაკს Keyboard shortcut-კლავიშთა შეთანხმება, Customize-მომართვა გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Customize Keyboard-კლავიატურის მომართვა (ნახ.10).
- სიაში Specify command- მიუთითეთ ბრძანება, აირჩიეთ კატეგორია Macros-მაკროსები.
- სიაში Macros-მაკროსები აირჩიეთ მაკროსი, რომლისთვისაც სრულდება მომართვა.
- თავის დაწკაპუნებით დააყენეთ კურსორი მინდორში Press new shortcut key-კლავიშთა ახალი შეთანხმება.
- დააჭირეთ ერთდროულად კლავიშებს, რომლებიც მოსამართ კომბინაციაში უნდა შევიდეს.
- აირჩიეთ ადგილი შექმნილი მომართვის შესანახად. ეს შეიძლება იყოს მიმდინარე დოკუმენტი ან ერთ-ერთი შაბლონი.
- აამოქმედეთ მომართვა ლილაკით Assign-დანიშვნა.
- დახურეთ დიალოგური ფანჯარა კლავიატურის მომართვა საბრძანებო ლილაკით Close-დახურვა.
- ასეთი მომართვის შემდეგ მაკროსში ჩაწერილი ბრძანებების თანამიმდევრულობა შესრულდება მომართული კლავიშთა კომბინაციის ერთი დაჭერით.




ნახ.10

ლაბორატორიული სამუშაო №14

Microsoft Visio – დიაგრამებისა და ბლოკ-სქემების რედაქტორის გარემოსა და შესაძლებლობების გაცნობა. სამუშაო ინსტრუმენტებისა და რედაქტირების საშუალებების შესწავლა და პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბება.

- თავის მაჩვენებელი დააწკაპუნეთ Start- Programs,
- მენიუში აირჩიეთ პუნქტი Microsoft Office → Microsoft Office Visio 2007. გაიხსნება MS Visio ფანჯარა (ნახ.1).



ნახ.1

- მენიუდან File ამოირჩიეთ ბრძანება New– ახალი დოკუმენტის შექმნა.
 - ფანჯარაში გამოჩნდება ახალი დოკუმენტის შექმნის სამი ვარიანტი (ნახ.2).
1. Getting Started-სამუშაოს დაწყება.
 2. New Drawing -დოკუმენტის შექმნა.
 3. შაბლონიდან ახალი დოკუმენტის შექმნა.

შაბლონებით წვდომა შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე ხერხით.

1. მენიუდან File ამოირჩიეთ Shapes კატალოგიდან საჭირო შაბლონი.
2. ინსტრუმენტების პანელიდან დააწკაპუნეთ ღილაკი Shapes და ამოარჩიეთ საჭირო შაბლონი.
3. ინსტრუმენტების პანელიდან გახსენით ღილაკი New და კატალოგიდან აირჩიეთ საჭირო შაბლონი.




ნახ.2

- ამოირჩიეთ Getting Started ვარიანტი, გამოჩნდება ფანჯარა, სადაც მოცემულია შაბლონების კატეგორია (ნახ.1).

შაბლონები კლასიფიცირდება ჯგუფებად.

- ამოირჩიეთ შაბლონის ჯგუფიდან General და მარჯვენა ფანჯარაში ამოირჩიეთ შაბლონი Basic Diagrama. მივიღებთ MS Visio ტიპურ ხატვის ფანჯარას (ნახ.3) .



ნახ.3

სახაზავის ერთეულის შესაცვლელად შეასრულეთ შემდეგი ბრძანება

- მენიუდან File ამოირჩიეთ ბრძანება Page Setup, გადადით ჩანართ Page Properties -ზე. სიაში Measurement units აირჩიეთ საჭირო ერთეული და შემდეგ დააწკაპუნეთ ღილაკ OK.

სახაზავის შკალის შესაცვლელად შეასრულეთ შემდეგი ბრძანება

- მენიუდან Tools ამოირჩიეთ ბრძანება Ruler&Grid და ამოირჩიეთ საჭირო ინტერვალები .


ფიგურების ჩასმა


ფიგურების ფანჯრიდან აირჩიეთ თქვენთვის მისაღები ფიგურები და ჩავსვით სამუშაო ფურცელზე.

შეინახეთ ფაილი.

- ამისათვის , მენიუდან File ამოირჩიეთ ბრძანება Save As.
- გამოვა ამავე სახელწოდების დიალოგის ფანჯარა , ველში File Name ფაილს დაარქვით სახელი და შეინახეთ.

ერთი ფიგურის მონიშვნა


- ინსტრუმენტების პანელზე დააწკაპუნეთ ღილაკზე  –Pointer Tool -მაჩვენებელი, შემდეგ კურსორი მიიყვანეთ ფიგურასთან რომელიც უნდა მონიშნოთ.
- როცა კურსორი მიიღებს ჯვრისებრი ისრის ფორმას, დააწკაპუნეთ ფიგურას (ნახ.4).




ნახ.4


მონიშნულ ფიგურაზე აისახება მონიშვნის მწვანე მარკერი.

რამდენიმე ფიგურის მონიშვნა

1. ინსტრუმენტების პანელზე ღილაკ  –Pointer Tool - მაჩვენებელი, ამოგანათა არედან ამოარჩიეთ პუნქტი Area Select (ნახ.5).
2. მაჩვენებელი მოათავსეთ მოსანიშნი ფიგურის თავზე ზემოდან მარცხნივ, შემდეგ ის გადაათრიეთ, გაჭიმეთ მონიშნის ჩარჩო ფიგურის ირგვლივ .





ნახ.5




ნახ.6


მონიშნული ფიგურების ირგვლივ გამოჩნდება მწვანე მარკერი. ხოლო ცალკე ფიგურების ირგვლივ გაჩნდება ალისფერი კონტურები. მთავარი ფიგურა აღნიშნულია ალისფერი მუქი კონტურით (ნახ.6).


მონიშვნისთვის Lasso Select ინსტრუმენტის გამოყენება 


- ინსტრუმენტების პანელზე ღილაკ  –Pointer Tool -მაჩვენებელი, ამოცანათა არედან ამოარჩიეთ პუნქტი Lasso Select (ნახ.5).
- გაჭიმეთ მონიშვნის ჩარჩო მოსანიშნი ფიგურის ირგვლივ. მონიშნული ფიგურების ირგვლივ გამოჩნდება მწვანე მარკერი (ნახ.7).



ნახ.7

მონიშვნისთვის Multiple Select ინსტრუმენტის გამოყენება 

- ინსტრუმენტების პანელზე ღილაკ  –Pointer Tool -მაჩვენებელი, ამოარჩიეთ პუნქტი Multiple Select (ნახ. 5).
- დააწკაპუნეთ ჯერ ერთ მოსანიშნ ფიგურაზე და შემდეგ დაწკაპუნებით მონიშნეთ დანარჩენები.




ნახ.8

- პირველი მთავარი მონიშნული ფიგურა აღნიშნულია ალისფერი მუქი კონტურით (ნახ.8). კლავიშების დახმარებით ერთდროულად, რომ მონიშნოს რამდენიმე ფიგურა საჭიროა დააწკაპუნოთ ფიგურებზე და დააჭიროთ კლავისებს SHIFT ან CTRL.
- მთლიანად ყველა ფიგურის მოსანიშნად დააჭიროთ კლავიმ CTRL+A.

ფიგურების კოპირება MS Visio სრულდება ისე, როგორც სხვა დოკუმენტებში.

- მენიუს პანელიდან: Edit –Copy, შემდეგ Edit-Paste ან კლავიშიდან CTRL+C, CTRL+V
- ინსტრუმენტების პანელიდან მონიშნეთ ფიგურა, რომელიც უნდა გადაადგილოთ ან დააკოპიროთ და შეასრულეთ მოქმედებიდან ერთ-ერთი
 1. ფიგურის გადასაადგილებლად ინსტრუმენტების პანელზე დააწკაპუნეთ ლილავს Cut.
 2. ფიგურის კოპირებისთვის, ინსტრუმენტების პანელზე დააწკაპუნეთ ლილავს Copy.
 3. თუ საჭიროა სხვა დოკუმენტში ფიგურის გადაადგილება ან კოპირება, მაშინ გადადით საჭირო დოკუმენტში და ინსტრუმენტების პანელზე დააწკაპუნეთ ლილავს Paste.



ნახ.9

ამ ბრძანებების შესრულება აგრეთვე შეიძლება

1. კონტექსტური მენიუდან.
2. კლავიშთა კომბინაციით Ctrl.

ფიგურის წასაშლელად

- მონიშნეთ ფიგურა, რომელიც უნდა წაშალოთ დააჭიროთ, კლავიშა DEL -ზე


ფიგურის გაერთიანება (Grouping)

1. მონიშნეთ ფიგურები.
2. მენიუში Shape აირჩიეთ პუნქტი Grouping (ნახ.9).
3. შეასრულეთ ბრძანება Grouping ან Ungrouping.


ავტოგაერთიანება

- გადაიტანეთ ფურცელზე ფიგურა “Terminator” მარტივი ბლოკ-სქემის ფიგურების ელემენტების შეკვრიდან და აუშვით მაუსის ლილავს (ნახ.10).
- თავის მიმანიშნებელი მიიტანეთ ფიგურაზე, რომ გამოჩნდეს ლურჯი ისარი.
- გადაადგილეთ თავის მიმანიშნებელი ლურჯ ისარზე, რომელიც მიუთითებს იმ ადგილს სადაც უნდა მოთავსდეს მეორე ფიგურა.


- გამოჩნდება ინსტრუმენტების მინი პანელი რამდენიმე ფიგურებით ელემენტების შეკვრიდან .
- თავის მიმანიშნებელი მიიტანეთ ფიგურაზე, რომ გამოჩნდეს ლურჯი ისარი (ნახ.11).




ნახ.10



ნახ.11




ნახ.12



ნახ.13


- დააწკაპუნეთ კვადრატულ ფიგურას „Process” -ოთკუთხედი, რომელიც ავტომატურად იქნება შეერთებული ფიგურა “Terminator”-ზე (ნახ.12).
- თუ საჭირო ფიგურა არ არის მინი – პანელზე, გადაათრით ის ფიგურების ფანჯრიდან ლურჯ ისარზე. ახალი ფიგურა ზუსტად ისევე გაერთიანდება პირველ ფიგურასთან, როგორც ფიგურის არჩევა მინი-პანელიდან (ნახ.13.)
- დააწკაპუნეთ ფიგურაზე და დაიწყოთ ტექსტის შეყვანა (ნახ.14).
- ტექსტის დასრულების შემდეგ დააწკაპუნეთ, ფურცლის ცარიელ ადგილას ან დააჭირეთ კლავიშა ESC-ზე.



ნახ.14


ფიგურის ზომის შეცვლა

- მონიშნეთ ფიგურა შეასრულეთ მოქმედებიდან ერთ ერთი

- თუ ფიგურას აქვს მონიშვნის მარკერი , გადაადგილეთ მონიშვნის მარკერი ფიგურის საჭირო ზომამდე. პროპორციულად რომ შეიცვალოს ფიგურის ზომა, საჭიროა გადაადგილოთ კუთხის მარკერი.



ნახ.15

- თუ ფიგურას აქვს კიდურა წერტილები , გადაადგილეთ კიდურა წერტილები საჭირო ზომამდე.

ფიგურის სიგრძის და სიგანის შეცვლა

- თავის მიმანიშნებელი განათავსეთ გვერდითა მონიშვნის მარკერზე.
- როცა მიმანიშნებელი მიიღებს ორმხრივი ისრის ფორმას, გადააჩოჩეთ მონიშვნის მარკერი (ნახ.15).

უფრო სიზუსტით ფიგურის სიგრძე და სიგანის შეცვლა


- მონიშნეთ ფიგურა, რომლის ზომა უნდა შეიცვალოს.
- მენიუში View ამოარჩიეთ ბრძანება Size&Position... გამოვა იმავე სახელწოდების ფანჯარა (ნახ.16).
- დიალოგის ფანჯარაში შეიტანეთ Width -სიგრძე და Height - სიგანის საჭირო ზომები და დააჭირეთ Enter.



ნახ.16



ფიგურის ზომის შეცვლა შენარჩუნებულ პროპორციის დროს

- მიმანიშნებელი მოათავსეთ კუთხის მონიშვნის მარკერზე.
- გადააჩოჩეთ მონიშვნის მარკერი.
- ნებისმიერი მონიშვნის მარკერი გაჭიმეთ, წრის ან კვადრატის საჭირო ზომამდე, შეინახეთ ფიგურის პროპორციები (ნახ.17).




ნახ.17

ფიგურის შემობრუნება

მონიშნეთ ფიგურა და მიმანიშნებელი გადაადგილეთ შემობრუნების მარკერზე , მანამ სანამ მაჩვენებელი არ შეიკვრება წრემდე . გადააჩოჩეთ მაჩვენებელი ფიგურის შეტრიალებით (ნახ.18).

ფიგურის კუთხით შემობრუნება


- მონიშნეთ ფიგურა, რომლის ზომა უნდა შეიცვალოს.
- მენიუში View ამოარჩიეთ ბრძანება Size&Position... გამოვა იმავე სახელწოდების ფანჯარა (ნახ.16).
- დიალოგის ფანჯარაში ველში Angle შეიტანეთ კუთხის მნიშვნელობა და დააჭირეთ Enter.






ნახ.18


ფიგურის ფორმატირება

- მონიშნეთ ფიგურა
- დააწკაპუნეთ ღილაკებზე რომელიც განლაგებულია ინსტრუმენტულ პანელზე.




გვერდზე ტექსტის დასამატებლად, რომელიც ფიგურასთან დაკავშირებული არ არის უნდა შესრულდეს შემდეგი მოქმედება

- მენიუში Insert ამოირჩიეთ ბრძანება Text Box ან ინსტრუმენტების პანელზე დააწკაპუნეთ ღილაკ  -ზე. ამოცანათა არედან, ამოარჩიეთ პუნქტი Text tool , თუ ღილაკი არ ჩანს, მაშინ დააწკაპუნეთ ღილაკ  Text Block tool (ნახ.19).



- დააწკაპუნეთ თავის მიმანიშნებელი ტექსტის ნებისმიერ ადგილას ან დააწკაპუნეთ და ხელის აუღებლად გადაადგილეთ თავის მაჩვენებელი სანამ ტექსტბოქსის ჩარჩო არ მიაღწევს საჭირო ზომას (ნახ.20).

შეიყვანეთ ტექსტი. ტექსტი იქნება გადიდებული. იმისათვის რომ პროგრამა Visio არ გაადიდოს ტექსტი, ამისათვის :



ნახ.20

- ამოირჩიეთ მენიუდან Tools ბრძანება Options გამოვა დიალოგის ფანჯარა, ჩანართში General ველში Automatically zoom text when editing under მიეცით თქვენთვის სასურველი ზომა (ნახ.21).
- ტექსტის ფორმატირებისთვის მონიშნეთ ფიგურა და მენიუ Format, ამოირჩიეთ ბრძანება Text, შემდეგ მიეცით თქვენთვის საჭირო პარამეტრები.


ფაილის ბეჭდვა

- მენიუ File ამოირჩიეთ ბრძანება Print ან ლილაკიდან CTRL+P.
- ამოირჩიეთ საჭირო პარამეტრები, მაგალითად, სტრიქონთა რაოდენობა, ან დასაბეჭდი გვერდების სია.

დოკუმენტის დაბეჭდვამდე საჭიროა მისი დათვალიერება რეჟიმში Preview.




ნახ.21

- ამისათვის სტანდარტულ ინსტრუმენტების პანელზე დააწკაპუნეთ  – Print Preview ღილაკს. ან მენიუ File ამოირჩიეთ ბრძანება Print Preview.
- მენიუ File ამოირჩიეთ ბრძანება Page Setup, გამოვა იმავე სახელწოდების დიალოგის ფანჯარაში (ნახ.22).

დიალოგის ფანჯარაში გადადით ჩანართ Print Setup.

- განყოფილებაში Printer paper ამოირჩიეთ პარამეტრი Portrait–ალბომური
- დააწკაპუნეთ OK ღილაკს.




ნახ.22

ლაბორატორიული სამუშაო №15


Microsoft Visio - ს გამოყენებით გრაფიკული ობიექტების შექმნა და რედაქტირება: დიაგრამები, ბლოკ-სქემები, პროექტები და ა.შ.

- გააქტიურეთ Microsoft Visio, ამისათვის გამოიყენეთ მენიუ Start /Programs/ Microsoft Office/ Microsoft Office Visio .
- მენიუდან File / New ამოარჩიეთ ბრძანება Getting Started (ნახ.1).




ნახ.1

- გახსნილ სიაში ამოირჩიეთ კატეგორია Flowchart შაბლონი SDL Diagrams (ნახ.2).



ნახ.2


- “SDL Diagrams Shapes” შაბლონის ფიგურების ფანჯრიდან თავის მიმანიშნებლით გადავართოთ ის აუცილებელი ფიგურები რომელიც ნახაზზეა მოცემული: Terminator; Variable procedure; Decision 2 (ნახ.3).



ნახ.3

ასევე ფიგურები განთავსებულია File/Shapes/Flowcharts.

- ფიგურისთვის ფერის მისაცემად, მონიშნეთ ფიგურა და მენიუს პანელიდან გამოვიყენოთ დილაკი Fill Color ფერის ჩასმა. გასაშლელი სიიდან აირჩიეთ თეთრი ფერი (ნახ.4).




ნახ.4



ნახ.5


- ფიგურის ზომის და კოორდინატების განსაზღვრისათვის მენიუდან View გამოიძახეთ ბრძანება Size&Position Window –ზომებისა და კოორდინატების შეცვლის ფანჯარა (ნახ.5).



ნახ.6


• ფიგურის რედაქტირებისთვის, ინსტრუმენტების პანელზე დაამატეთ შესაბამისი ინსტრუმენტის დილაკი, ამისათვის თავის მარჯვენა კლავიშით დააწკაპუნეთ ინსტრუმენტების პანელზე, გასწილ მენიუდან აირჩიეთ პუნქტი «Action».

• ფიგურების განაწილება შეიძლება როგორც, მათ შორის მანძილის ტოლობით, ისე ფიგურების ცენტრებს შორის მანძილით.




ნახ.7


თანამიმდევრულად ვაფიქსირით თავის მიმანიშნებელი მარცხენა დილაკით, ავირჩიოთ რამდენიმე ფიგურა და ამავე დროს კლავიატურაზე დავაჭიროთ კლავიშ CTRL.




ნახ.8

• მენიუ Action–დან დავაწკაპუნოთ დილაკი  Distribute Shapes – განაწილების ტიპი, მის ჩამოსაშლელი სიიდან ავირჩიოთ ფიგურებს შორის მანძილის გათანაბრება ჰორიზონტალზე Distribute Horizontal Shapes (ნახ.6)

• ანალოგიურად, ფიგურებს შორის მანძილის გათანაბრება ვერტიკალზე Distribute Vertical Shapes (ნახ.7).




ნახ.9


- შემდეგი ნაბიჯია ფიგურების ერთ ხაზზე გათანაბრება (ვერტიკალური ან ჰორიზონტალური), ცენტრში ან საზღვრებზე (მარჯნივ/მარცხნივ ან ზედა/ქვედა), მოვნიშნოთ საჭირო ფიგურა და დილაკ Distribute Shapes ჩამოსაშლელი სიიდან ამოვირჩიოთ ბრძანება Distribute Middle Shapes. ხოლო შემდეგ ბრძანება Distribute Center Shapes (ნახ.8), (ნახ.9).
- ფიგურების გათანაბრება ხდება პირველ მონიშნულ ელემენტზე, რომლის ჩარჩო უფრო მუქად არის გამოყოფილი.
- ფიგურების შესაერთებლად გამოიყენეთ სპეციალური შემაერთებლები, ამათგან ყველაზე უნივერსალურია ინსტრუმენტურ პანელზე დილაკი  Connector tool (ნახ.10).




ნახ.10




ნახ.11


- ფიგურებს, “SDL Diagrams Shapes” შაბლონიდან აქვს შესაერთებლად განსაზღვრული წერტილები, რომელიც აღინიშნება . იმის შემდეგ, რაც დააწკაპუნებთ დილაკს «Connector tool» და თავის მაჩვენებელს მიიყვანთ შესაბამის წერტილზე, ის გამოიწვევს წერტილის სახის შეცვლას (ნახ.11).





ნახ.12

- თავის მიმანიშნებელით დააფიქსირეთ ფიგურების შეერთების დასაწყისი, არ აუშვათ თითო თავის მარცხენა დილაკს, ისე გადაადგილეთ შეერთების ბოლო წერტილზე (ნახ.12).


- ფიგურების შეერთების შემდეგ, საჭიროა გათიშოთ შეერთების რეჟიმი ინსტრუმენტების პანელზე განთავსებული დილაკით  -Pointer Tool. სქემა მიიღებს სახეს რომელიც მოცემულია ნახაზზე (ნახ.13).



ნახ.13

- შეცვალეთ შეერთების ხაზის ფერი, ამისათვის ინსტრუმენტების პანელიდან ამოირჩიეთ დილაკი  -Pointer Tool .
- ისრების ამოსარჩევად შეერთების ხაზის ბოლოს, საჭიროა ინსტრუმენტების პანელზე დააწკაპუნეთ დილაკს  -Line Weight, და ჩამოსაშლელი სიიდან აირჩიეთ ერთ-ერთი ან ჩამოსაშლელი სიიდან აირჩიეთ ბრძანება «More Line Ends» (ნახ.14).


- გამოსულ დიალოგის ფანჯარაში აირჩიეთ ბოლო შეერთებისთვის ისრის ტიპი , ასევე ისრის ზომა (ნახ 15).
- შეერთების ხაზის საბოლოო ტიპის შედეგი მოცემულია (ნახ.16).



ნახ.14



ნახ.15




ნახ.16

- ფიგურაში ტექსტის ჩასაწერად საჭიროა თავის მიმანიშნებელი ორჯერ დააწკაპუნოთ ფიგურაზე, რის შემდეგ უნდა შეიყვანოთ ტექსტი (ნახ.17). ბლოკებს შორის ისრებზე დააწერეთ „კი“ და „არა“, ამისათვის ინსტრუმენტების პანელიდან აირჩიეთ ღილაკი



«Text Tool»,


- იმისათვის, რომ დიაგრამაზე შემდეგშიც იმუშაოთ, აუცილებელია მისი შენახვა Visio ფორმატში, ამისათვის, აირჩიეთ მენიუ File/Save და ფორმატი vsd



ნახ.17

დიაგრამების ასაგებად, გამოიყენეთ სპეციალური ფიგურები, რომლებიც მოთავსებულია კატეგორია Business შაბლონი Charts and Graphs.


- Charts and Graphs შაბლონის ფიგურების ფანჯრიდან თავის მიმანიშნებელით გადაათრით მაგალითად, ფიგურა Bar Graph, მასთან ერთად გამოჩნდება მისი დიალოგის ფანჯარა Shape Data (ნახ.18), სადაც თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ სვეტების რიცხვების რაოდენობა და მნიშვნელობის მაქსიმალური ასახვა.
- ფიგურის რედაქტირებისთვის გამოიყენეთ კონტექსტური მენიუდან ბრძანებების ღილაკები, რომლებიც ფიგურის მონიშვნის შემდეგ იძლევა საშუალებას ჩართოს ან გამოირთოს წრფის კონტურების გამოსახულება, რომლებიც შეესაბამება ჰისტოგრამის სვეტს. ასევე ფერების არჩევა და თითოეული სვეტის მნიშვნელობა და ა.შ. კონტექსტური მენიუს გარდა შეგიძლიათ გამოიყენოთ იგივე ბრძანება მენიუდან Shape.
- ფიგურის მონიშვნის შემდეგ, ჩნდება რომბისებრი მარკერები. მათი დახმარებით შეცვალეთ ფიგურის პარამეტრები, მაგალითად, სვეტის სიგანე.
- ამოირჩიეთ თქვენთვის სასურველი მნიშვნელობა და დააწკაპუნეთ Ok.



ნახ.18

ზუსტად ასევე შეიძლება დანარჩენ ფიგურების რედაქტირება. მაგალითად, გადაიტანეთ სამუშაო არეში ფიგურა Pie Chart .

- ამ შემთხვევაში პარამეტრების არჩევა შეიძლება იყოს სხვაგვარი. გამოტანილ დიალოგის ფანჯარაში Shape Data თქვენთვის იქნება შემოთავაზებული რიცხვის არჩევა მარტო სექტორისთვის, ხოლო მისი ზომა თქვენ შეგიძლიათ განსაზღვროთ მოგვიანებით კონტექსტური მენიუდან. (ნახ.19).



ნახ.19

საქმიანი პროექტების შექმნა Visio-ში

კომპიუტერული ქსელის შექმნის სქემა

- შექმენით კომპიუტერული ქსელის სქემა, რომელიც ნახაზზეა მოცემული (ნახ.20) ან (ნახ.21).



ნახ.20




ნახ.21

- გაუშვით Start/Programs/MS office/MS Visio.
- მენიუდან File / New ამოარჩიეთ ბრძანება Getting Started (ნახ.1).
- ააგეთ კომპიუტერების სალტეს ტოპოლოგიის ქსელის სქემა (ნახ.22) და კომპიუტერების ვარსკლავური ტოპოლოგიის ქსელის სქემა (ნახ.23).



ნახ.22




ნახ.23


- გახსნილ სიაში ამოირჩიეთ კატეგორია Network – შაბლონი Basic Network Diagram
- სამუშაო არეთი ყველა სტანდარტულ ფიგურას გაუკეთეთ რედაქტირება, ამისათვის, გამოიყენეთ მენიუს პანელი, ინსტრუმენტების პანელი, კონტექსტური მენიუ. ბრძანებები Cut, Copy, Paste, Shape Rotate, -შემობრუნება, კლავიატურის ღილაკი Ctrl. და ა.შ.

ოფისის, კაბინეტის და ა.შ გეგმის შესაქმნილად გამოიყენეთ კატეგორია Maps and Floor Plans. შაბლონი Office Layout.

- შექმენით გეგმა ,რომელიც ნახაზეა მოცემული (ნახ.24) და (ნახ.25).



ნახ.24



ნახ.25

- სურათზე ფონის დასადებად გამოიყენეთ ღილაკი Backgrounds, ჩარჩოსთვის და ფერის ჩასასხმელად ღილაკი Borders and Titles. ფიგურასთან ტექსტის შესაქმნელად – Callouts, და ა.შ.